



პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

დამოუკიდებელი ანალიზი

სახელმწიფო ფინანსების მდგრადობის ხელშეწყობისათვის

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

საქართველოს კანონის პროექტის მიმოხილვა

(პირველი წარდგენა)

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

ოქტომბერი, 2018 წელი

შინაარსი

1. ფისკალური გარემო საშუალოვადიანი პერიოდისათვის.....	3
1.1. ფისკალური რისკები საშუალოვადიანი პერიოდისათვის.....	3
1.2. ძირითადი ფისკალური ინდიკატორების დინამიკა.....	10
2. ფისკალური გარემო 2019 წლისათვის	13
2.1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები	13
2.1.1. საგადასახადო შემოსავლები	14
2.1.2. შემოსულობების სხვა კომპონენტები	15
2.2. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები	17
2.3. სახელმწიფო ვალდებულებების დინამიკა	30
3. შესაბამისობა ფისკალურ წესებთან	32
4. დანართები	36
დანართი 1.....	36
დანართი 2.....	37
დანართი 3.....	41
დანართი 4.....	54

1. ფისკალური გარემო საშუალოვადიანი პერიოდისათვის

კონკრეტული წლის ფისკალური პოლიტიკის და შესაბამისად, ბიუჯეტის დაგეგმვის ანალიზი მოითხოვს საშუალოვადიანი პერიოდისათვის მაკროეკონომიკური გარემოს მოსალოდნელი განვითარებისა და მასთან დაკავშირებული რისკების ანალიზს, ხოლო მეორე მხრივ, ძირითადი ფისკალური ინდიკატორების მიმოხილვას ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შეფასებისათვის. შესაბამისად, ანგარიშის პირველი ნაწილი მიმოხილავს, ერთი მხრივ, მთავრობის მიერ წარმოდგენილი საბაზისო სცენარით ფისკალური გარემოს მოსალოდნელ განვითარებას და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვლ პასუხებს მაკროეკონომიკური პარამეტრების საბაზისოსგან განსხვავებული განვითარების შემთხვევაში, ხოლო მეორე მხრივ, ძირითადი ფისკალური ინდიკატორების საპროგნოზო მაჩვენებლებს 2018 წლისა და საშუალოვადიანი პერიოდისათვის.

1.1. ფისკალური რისკები საშუალოვადიანი პერიოდისათვის

„ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.“ (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 34, პუნქტი 1). აღნიშნული დოკუმენტი საქართველოსათვის წარმოადგენს საშუალოვადიან საბიუჯეტო/ფისკალურ ჩარჩოს (Medium-term Budgetary Framework), რომელიც მიზნად ისახავს საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრას საშუალოვადიან პერსპექტივაში პასუხისმგებლიანი და მდგრადი ფისკალური პოლიტიკის უზრუნველსაყოფად.

ევროკავშირის ფისკალური მართვის ჩარჩოში საშუალოვადიან დაგეგმვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. კერძოდ, აღნიშნული ასპექტი ხაზგასმულია ფისკალური მართვის მარეგულირებელ ძირითად ნორმატიულ აქტებში¹. ევროსაბჭოს 2011 წლის N85 დირექტივა „წევრი ქვეყნების საბიუჯეტო ჩარჩოებისათვის მოთხოვნების შესახებ“ საშუალოვადიან საბიუჯეტო ჩარჩოს განსაზღვრავს, როგორც „ეროვნულ პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფს ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვას წლიური საბიუჯეტო ციკლის მიღმა, მათ შორის პრიორიტეტებისა და საშუალოვადიანი საბიუჯეტო მიზნების ჩამოყალიბებას“². აქვე განსაზღვრულია, რომ „წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ სანდო და ეფექტიანი საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩოს ჩამოყალიბება ფისკალური დაგეგმვის მინიმუმ სამწლიანი პერიოდისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეროვნული ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვა საშუალოვადიანი პერსპექტივით“. ამასთან, „საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩო უნდა ითვალისწინებდეს პროცედურებს შემდეგი მიმართულებების განსაზღვრისთვის:

- ყოვლისმომცველი და გამჭვირვალე საშუალოვადიანი საბიუჯეტო მიზნების ჩამოყალიბება, გამოსახული ისეთი ინდიკატორებით, როგორებიცაა: ერთიანი მთავრობის ბიუჯეტის დეფიციტი, სახელმწიფო ვალი და სხვა აგრეგატიული ინდიკატორები, მაგ: ხარჯვითი ნაწილი, იმ დაშვებით,

¹ Regulation (EC) No 1466/97 of 7 July 1997 on the strengthening of the surveillance of budgetary positions and the surveillance and coordination of economic policies;

Council Directive 2011/85/EU on requirements for budgetary frameworks of the Member States ("Budgetary Frameworks Directive");

Regulation (EU) No 473/2013 of the European Parliament and of the Council of 21 May 2013 on common provisions for monitoring and assessing draft budgetary plans and ensuring the correction of excessive deficit of the Member States in the euro area.

² Council Directive 2011/85/EU on requirements for budgetary frameworks of the Member States ("Budgetary Frameworks Directive"), Article 2 (e)

რომ აღნიშნული მიზნობრივი მაჩვენებლები შეესაბამება დამოუკიდებლად განსაზღვრულ ფისკალურ წესებს ამავე დირექტივის მე-4 თავის შესაბამისად.

- ერთიანი მთავრობის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის საპროგნოზო მაჩვენებლების განსაზღვრა, მეტი დეტალიზაციით ცენტრალური მთავრობისა და სოციალური დაცვის მიმართულებისათვის, პოლიტიკის უცვლელი დაშვებით.
- მთავრობის პოლიტიკის განსაზღვრული მიმართულებებისა და ერთიანი მთავრობის ფინანსებზე მათი გავლენის დეტალური აღწერა იმის ხაზგასმით, თუ როგორ არის დაგეგმილი მიახლოება მიზნობრივ საბიუჯეტო მაჩვენებლებთან პოლიტიკის უცვლელი სცენართან შედარებით.
- მთავრობის პოლიტიკის ზემოაღნიშნული განსაზღვრული მიმართულებების სახელმწიფო ფინანსებზე გრძელვადიანი გავლენის შეფასება.

პროგნოზები, რომლებიც დამტკიცებულ/მოწონებულ იქნება საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩოს ფარგლებში უნდა ეყრდნობოდეს რეალისტურ მაკროეკონომიკურ და საბიუჯეტო დაშვებებს ამავე დირექტივის მე-3 თავის შესაბამისად.

ამასთან, წლიური ბიუჯეტი უნდა შეესაბამებოდეს საშუალოვადიან საბიუჯეტო ჩარჩოს, კერძოდ, ზემოაღნიშნული საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის პროგნოზები და პოლიტიკის პრიორიტეტები უნდა წარმოადგენდეს წლიური ბიუჯეტის მომზადების საფუძველს. ნებისმიერი გადახრა სათანადოდ უნდა იქნას განმარტებული³.


2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენილი და ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები ეყრდნობა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) წარმოდგენილ საბაზისო სცენარს 2019 წლისათვის: ეკონომიკური ზრდა 4.5%; ინფლაცია 3%; იმპორტის ზრდა (6.7%) და 2018 წლისთვის ეკონომიკური ზრდის, ინფლაციის და იმპორტის ზრდის მოსალოდნელ მაჩვენებლებს, შესაბამისად 5%, 3.5%-ის და 21.9%-ის ოდენობით.

აღნიშნული მაჩვენებლების ანალიზისათვის მიზანშეწონილია 2019-2022 წწ. BDD დოკუმენტის წარდგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრები შევადაროთ ერთი მხრივ, ამავე დოკუმენტის პირველადი ვერსიით⁴ (01.06.2018წ.) და 2018-2021წწ. BDD დოკუმენტის საბოლოო ვერსიით წარდგენილ პარამეტრებს, ხოლო მეორე მხრივ, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დამოუკიდებელ პროგნოზებს საშუალოვადიანი პერიოდისათვის(იხ. ცხრილი 1). აღნიშნული საშუალებას იძლევა შეფასდეს ოფიციალური საპროგნოზო მაჩვენებლებისა და შესაბამისად, მაკროეკონომიკური გარემოსადმი მთავრობის მოლოდინების ცვლილების დინამიკა და გადახრა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დამოუკიდებელი პროგნოზებისაგან. როგორც დიაგრამებიდან ვლინდება, თუ 1 ივნისს წარდგენილი დოკუმენტით, ისევე როგორც 2018-2021 წწ. BDD დოკუმენტით გათვალისწინებული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2018 წლისათვის 4.5%-ს შეადგენდა, ხოლო პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შესაბამის პერიოდებში მომზადებული პროგნოზები ასევე 2018 წლისათვის - 4.9%-სა და 5.2%-ს უტოლდებოდა, ამ ეტაპზე მთავრობის მიერ წარდგენილი დოკუმენტით აღნიშნული მაჩვენებელი 5.0%-ს შეადგენს. რაც შეეხება 2019 წელსა და საშუალოვადიან პერიოდს, 1 ივნისს წარდგენილი დოკუმენტით, ისევე როგორც 2018-2021 წწ. BDD დოკუმენტით გათვალისწინებული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2019 წლისათვის 5.0%-ს შეადგენდა და 2021 წლისათვის ეტაპობრივად უახლოვდებოდა 6.0%-იან ნიშნულს, ხოლო ამ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტით 2019 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 4.5%-ს შეადგენს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ შესაბამის პერიოდებში პარლამენტის


³ Council Directive 2011/85/EU on requirements for budgetary frameworks of the Member States ("Budgetary Frameworks Directive"), Article 9,10

⁴ ინფორმაცია ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზების და სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ, რომელიც საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, 1 ივნისს წარედგინება პარლამენტს.

საბიუჯეტო ოფისის მიერ წარმოდგენილი საპროგნოზო მაჩვენებელი 2019 წლისათვის 5.2%-სა და 5.5%-ს უტოლდება, ხოლო განახლებული პირველადი საპროგნოზო მაჩვენებელი ამ ეტაპზე 5.3%-ს შეადგენს. თუმცა ცალკეული დისკრეციული ცვლილებების გავლენის(მათ შორის, ფინანსური სექტორის ახალი რეგულაციების) შეფასებისა და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური გარემოს საპროგნოზო მაჩვენებლების განახლების საფუძველზე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საბოლოო საპროგნოზო მაჩვენებელი(დეკემბერი, 2018) შესაძლებელია განსხვავდებოდეს წარმოდგენილი პროგნოზისაგან. ჯამურად, ამ ეტაპზე მთავრობის მიერ წარდგენილი პროგნოზები წარმოადგენს გასულ ვერსიასთან შედარებით უფრო კონსერვატულ სცენარს და 2018 წლისათვის უახლოვდება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ წარდგენილ დამოუკიდებელ პროგნოზებს (რომლებიც პარლამენტს წარედგინა მიმდინარე წლის ივნისში), ხოლო 2019 წლისა და საშუალოვადიანი პერიოდისათვის წარმოდგენილია პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საპროგნოზო მაჩვენებლებისაგან განსხვავებული საპროგნოზო მაჩვენებლები.



დიაგრამა 1 : ეკონომიკური ზრდის პროგნოზი (მთავრობა, საბიუჯეტო ოფისი)



დიაგრამა 2: ეკონომიკური ზრდის პროგნოზი (საბიუჯეტო ოფისი, ივნისი, 2018)⁵

⁵ პროგნოზი სრულად განახლდება 2018 წლის დეკემბერში, ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური გარემოს საპროგნოზო მაჩვენებლების განახლების შემდგომ.

	2018				2019			
	ივნისი, 2018		სექტემბერი, 2018		ივნისი, 2018		სექტემბერი, 2018	
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული ზრდა)	4.5%	5.2%	5.0%	5.1%	5.0%	5.5%	4.5%	5.3%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	3.5%	3.1%	3.5%	2.9%	3.0%	3.2%	3.0%	3.2%
მშპ დეფლატორი	3.5%	3.9%	4.5%	4.1%	3.0%	3.8%	3.5%	3.8%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	41,146	41,562	41,742	41,615	44,499	45,541	45,147	45,491
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	10,260	10,575	10,500	10,607	11,200	11,331	11,200	11,438
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი საღირსე (მლნ ლარი)	-560	-182	-540	-424	-825	-609	-841	-604

ცხრილი 1: ცალკეული ინდიკატორების საპროგნოზო მაჩვენებლები

რაც შეეხება ფისკალურ პოლიტიკას ზემოაღნიშნული საბაზისო მაკროეკონომიკური სცენარის შემთხვევაში, 2019 წლისათვის 2017 წელთან შედარებით გათვალისწინებულია ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობის ზრდა 13%-ით, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების ზრდა - 11%-ით (1002 მლნ ლარით) და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლის ზრდა - 36%-ით (838 მლნ ლარით). ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი საღირსე განსაზღვრულია -1.9%-ის დონეზე მშპ-სთან მიმართებაში. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (ე.წ. კაპიტალური ხარჯების⁶) მასშტაბური და ასევე მიმდინარე ხარჯების გაზრდა: 2017 წელთან შედარებით 2022 წლისათვის გათვალისწინებულია მიმდინარე ხარჯების ზრდა 29%-ით (2,641 მლნ ლარით), ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (ე.წ. კაპიტალური ხარჯების) ზრდა 107%-ით (2,476 მლნ ლარით). ბიუჯეტის დეფიციტი 2022 წლისათვის მშპ-ს 2%-ს უტოლდება.

ზემოაღნიშნულ საბაზისო სცენართან მიმართებაში, საყურადღებო კომპონენტს წარმოადგენს ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროების დინამიკა, კერძოდ, ვალდებულებების წმინდა ზრდა (ვალდებულებების აღება დაფარვის ამორიცხვით), რომელიც საშუალოვადიან პერიოდში ნარჩუნდება საშუალოდ 1.2-1.5 მლრდ ლარის ფარგლებში. საგარეო ვალდებულებების ზრდა მერყეობს 1.7 მლრდ - 2.9 მლრდ ლარის ინტერვალში, რაც უკავშირდება ვალდებულებების დაფარვის ზრდის ტენდენციას (2021 წელს საგარეო ვალდებულებების დაფარვა შეადგენს 2.07 მლრდ ლარს). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საშუალოვადიან პერიოდში მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას ახალი

⁶ კაპიტალურ ხარჯებად და სახელმწიფო ინვესტიციებად კლასიფიცირება არ არის განსაზღვრული საბიუჯეტო კლასიფიკაციით და ეყრდნობა საბიუჯეტო ოფისის ანალიტიკოსთა სუბიექტურ განსჯას დაინტერესებულ მხარეთა აღქმადობის გაუმჯობესებისათვის.

ვალდებულებების აღებასთან დაკავშირებული რისკები, რომელთა რეალიზებაც არსებით გავლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით პოლიტიკასა ან/და დეფიციტის მაჩვენებელზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან ერთად, რომელიც ასახავს იმ საბაზისო სცენარს, რომელსაც ეყრდნობა 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენილი და ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები, **2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს თან ერთვის ინფორმაცია ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების შესახებ, რომელიც ასახავს ინფორმაციას საბიუჯეტო აგრეგატების ფორმირებისას გამოყენებული საბაზისო მაკროეკონომიკურ დაშვებებთან დაკავშირებულ რისკებზე და აღნიშნული რისკების რეალიზაციის შემთხვევაში, საბიუჯეტო აგრეგატებზე მათი ზეგავლენისა და პოლიტიკის პასუხებზე, როგორც დასაგეგმი წლისათვის, ისე საშუალოვადიან პერიოდში.** საერთაშორისო პრაქტიკით⁷, ფისკალური რისკი განიმარტება, როგორც ფისკალური აგრეგატების გადახრები იმ მოსალოდნელი მაჩვენებლებისაგან, რომლებიც განისაზღვრა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე ან ფისკალური პროგნოზების ფორმირებისას. ფისკალური რისკების ძირითად წყაროებად გამოყოფენ მაკროეკონომიკური ცვლადების მოულოდნელ ცვლილებას და სახელმწიფოს პირობით ვალდებულებებს, კერძოდ: მაკროეკონომიკურ შოკებს, ფინანსური სექტორი, სამართლებრივი საქმეები, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები, სახელმწიფო საწარმოები, ბუნებრივი კატაკლიზმები, საჯარო-სახელმწიფო პარტნიორობები. რიგ შემთხვევებში ფისკალური რისკების გაუთვალისწინებლობა, მაგალითად, მაკროეკონომიკური გარემოს მოულოდნელი განვითარების შედეგად სახელმწიფოს დამატებითი დანახარჯები, ან გადახრები შემოსავლების მოსალოდნელი დონიდან, იწვევს სახელმწიფოს ვალდებულებების ზრდას, რეფინანსირების სიძნელეებს და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მოკლე და საშუალოვადიან ფისკალურ მდგრადობას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევაზე დაყრდნობით, ფისკალური რისკების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა/გამჭვირვალობა პოზიტიურ კავშირშია ქვეყნის სუვერენულ საკრედიტო რეიტინგთან და მის წვდომასთან საერთაშორისო კაპიტალურ ბაზრებზე. ზემოაღნიშნულისა და ფისკალური რისკების შესახებ მეტი გამჭვირვალობის მიმართულებით ბოლო წლებში გამოვლენილი მზარდი საერთაშორისო ინტერესის გათვალისწინებით⁸, აღნიშნული ინფორმაციის წარდგენა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე ხელს უწყობს ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესებას.

ამ ეტაპზე ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზთან დაკავშირებით ცალკეულ შესაძლო პოზიტიურ და ნეგატიურ ფაქტორებზე დაყრდნობით, გამოყოფილია მაკროეკონომიკური გარემოს შემდეგი სცენარები:

- **ოპტიმისტური სცენარი**, რომელიც ეყრდნობა 2019 წლისა და საშუალოვადიანი პერიოდისათვის საბაზისო სცენარზე მაღალ ეკონომიკურ ზრდას და მაღალ ინფლაციას (კერძოდ, ეკონომიკური ზრდა 5.7% და ინფლაცია 4.2%, 2019 წლისათვის), რაც გაზრდის ბიუჯეტში მობილიზებულ შემოსავლებს⁹.


⁷ Ter-Minassian T., 2008, „Fiscal Risks—Sources, Disclosure, and Management“, IMF Working Paper, (Washington, DC: International Monetary Fund)

Analyzing and Managing Fiscal Risks—Best Practices, 2016. IMF policy Paper, (Washington, DC: International Monetary Fund)


⁸ იხ. IMF Code and Manual of Good Practices on Fiscal Transparency (2001, 2007) and the OECD Best Practices for Budget Transparency (2001). Requirements to disclose certain fiscal risks are part of internationally-accepted accounting and statistical standards. In addition, disclosure of key contingent liabilities is required as a memorandum item to the balance sheet under statistical reporting standards, such as the Government Finance Statistics Manual 2001.

⁹ აღნიშნული სცენარი გულისხმობს მაკროეკონომიკური გარემოს პოზიტიური განვითარების შენარჩუნებას მთელი საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში.


- **პესიმისტური სცენარი**, რომელიც ეყრდნობა 2019 წლისა და საშუალოვადიანი პერიოდისათვის საბაზისო სცენარზე დაბალ ეკონომიკურ ზრდას და დაბალ ინფლაციას (კერძოდ, ეკონომიკური ზრდა 3.3% და ინფლაცია 1.8%, 2019 წლისათვის), რაც შეამცირებს ბიუჯეტში მობილიზებულ შემოსავლებს (იხ. ცხრილი 1)¹⁰.



დიაგრამა 3: ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები და გადასახდებები განსხვავებული სცენარებით 2019 წლისათვის (მლნ ლარი).




დიაგრამა 4: ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები და გადასახდებები განსხვავებული სცენარებით 2022 წლისათვის (მლნ ლარი).



დიაგრამა 5: ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი და ვალდებულებების ზრდა განსხვავებული სცენარებით 2019 წლისათვის (მლნ ლარი).

10 აღნიშნული სცენარი გულისხმობს მაკროეკონომიკური გარემოს ნეგატიური განვითარების შენარჩუნებას მთელი საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში.



დიაგრამა 6: ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი და ვალდებულებების ზრდა განსხვავებული სცენარებით 2022 წლისათვის (მლნ ლარი).

რაც შეეხება შესაბამისი სცენარებისათვის საბიუჯეტო აგრეგატების მოსალოდნელ ცვლილებას და მთავრობის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკის პასუხებს (იხ. დიაგრამები 1-4):

- პოზიტიური სცენარის შემთხვევაში,** ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2019 წლისათვის 218 მლნ-ით იზრდება საბაზისოსთან შედარებით. აღნიშნულის პასუხად, წარმოდგენილი სცენარით არაა გათვალისწინებული მიმდინარე ან ე.წ. კაპიტალური ხარჯების ზრდა. ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროები კვლავ განსაზღვრულია საბაზისო სცენარის დონეზე და საგადასახადო შემოსავლების გაზრდილი ოდენობით დაგეგმილია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ცვლილებები საბაზისო სცენარს უტოლდება, შესაბამისად, საბაზისო სცენართან შედარებით გაზრდილი საგადასახადო შემოსავლების მოცულობით გათვალისწინებულია ბიუჯეტის დეფიციტის დაბალანსება (მცირედით პოზიტიურ ნიშნულამდე).

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, საყურადღებოა, რომ ოპტიმისტური სცენარით გათვალისწინებული ფისკალური პოლიტიკის პასუხები, კერძოდ, გადასახადების დაგეგმილზე მაღალი მობილიზების პირობებში ბიუჯეტის დეფიციტის გაუმჯობესებისათვის ვალდებულებების წმინდა ზრდისა და ხარჯების შენარჩუნება საბაზისო დონეზე საშუალოვადიან პერიოდში ვალდებულებების გაწერილი დინამიკის გათვალისწინებით საყურადღებოა ასპექტია.

- ნეგატიური სცენარის შემთხვევაში,** ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2019 წლისათვის 219 მლნ-ით მცირდება საბაზისოსთან შედარებით. აღნიშნულ სცენარში მთავრობის პოლიტიკის პასუხად წარმოდგენილია მიმდინარე ხარჯებისა და ბიუჯეტის დეფიციტის(ნომინალურ გამოსახულებაში) საბაზისო დონეზე შენარჩუნება და ამისათვის 2019 წლისათვის გათვალისწინებულია საბაზისოსთან შედარებით კაპიტალური ხარჯების შემცირება ამავე ოდენობით. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, ანალოგიურად გათვალისწინებულია საბაზისო სცენართან შედარებით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (ე.წ. კაპიტალური ხარჯების) შემცირება საბაზისო სცენართან შედარებით და მიმდინარე ხარჯების ზრდა საბაზისო სცენარის დონეზე (2017 წელთან შედარებით 2022 წლისათვის გათვალისწინებულია მიმდინარე ხარჯების ზრდა 29%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (ე.წ. კაპიტალური ხარჯების) ზრდა 38%-ით). ბიუჯეტის დეფიციტი 2022 წლისათვის მშპ-ს -2.2%-მდე იზრდება.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მაკროეკონომიკური გარემოს პესიმისტური სცენარის განვითარების შემთხვევაში გათვალისწინებული პოლიტიკის პასუხები, კერძოდ, ეკონომიკური ზრდის შენელების პასუხად კაპიტალური ხარჯების მასშტაბური შემცირება კიდევ უფრო უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკურ აქტივობაზე საშუალოვადიან პერიოდში, ამასთან, გასათვალისწინებელია რომ კაპიტალური პროექტების განხორციელების დიდი წილი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტების საფუძველზე განხორციელებულ პროექტებზე მოდის, ხოლო საგარეო ვალდებულებების ზრდა პესიმისტური სცენარისათვის საბაზისო სცენარის ანალოგიურ მაჩვენებელს უტოლდება.

როგორც უკვე აღინიშნა, გარდა მაკროეკონომიკური გარემოს საბაზისოსაგან განსხვავებული განვითარებისა, ფისკალური რისკების უმნიშვნელოვანეს წყაროდ განიხილება პირობითი ვალდებულებები, კერძოდ, სახელმწიფო საწარმოები და მათი ვალდებულებები. ამ ეტაპზე სახელმწიფო საწარმოების ფინანსებთან დაკავშირებულ ფისკალურ რისკებზე ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. თუმცა როგორც ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათშია მითითებული „ვინაიდან კომპანიების აუდირებული დასკვნები ხელმისაწვდომი იქნება პირველი ოქტომბრის შემდგომ და კომპანიებში არსებული სიტუაციის გაანალიზება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკურ მისიასთან ერთად დაიწყება აღნიშნული დასკვნების მიღების შემდგომ. ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიასთან ერთად წარმოდგენილი იქნება ფისკალური რისკების სრულყოფილი დოკუმენტი“.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფისკალური რისკების ანალიზისას გასათვალისწინებელია, რომ სტანდარტული ფისკალური რისკების ანალიზი ეყრდნობა რისკებთან დაკავშირებით ისეთ დაშვებებს, როგორებიცაა შოკების შედარებით ზომიერი მასშტაბი, რისკების განსხვავებულ წყაროთა დამოუკიდებლობა(ე.ი. ერთი რისკის რეალიზაცია არ ახდენს გავლენას სხვა ფისკალური რისკის რეალიზებაზე), სიმეტრიულობა(ე.ი. პოზიტიური შოკები შესაძლებელია რეალიზდეს იმავე ალბათობით, რითაც ნეგატიური შოკები) და წრფივი გავლენა(ე.ი. შოკის გავლენა იცვლება მისი ზომის პროპორციულად). თანამედროვე კვლევები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული დაშვებები რიგ შემთხვევებში ფისკალური რისკების შესაძლო გავლენის სრულყოფილად შეფასებისა და სამართლიანი სურათის წარმოდგენისათვის შესაძლებელია გამოწვევებს ქმნიდეს. შესაბამისად, აუცილებელია ფისკალური რისკების წარმოდგენილი შეფასება ერთი მხრივ მოიცავდეს ფისკალური რისკების ყველა არსებით წყაროსთან დაკავშირებული რისკების შეფასებას, და მეორე მხრივ, ეტაპობრივად ითვალისწინებდეს, რომ ნეგატიური შოკების რეალიზების ალბათობა ცალკეული ემპირიული კვლევებით მაღალია პოზიტიური შოკების ალბათობაზე, ფისკალური შოკების მასშტაბი შესაძლებელია იყოს არსებულ დაშვებებზე ბევრად დიდი, განსხვავებული რისკები ხასიათდებოდეს მაღალი კორელაციით და რისკების გავლენა სახელმწიფო ფინანსებზე შესაძლებელია იყოს არაწრფივი.


1.2. ძირითადი ფისკალური ინდიკატორების დინამიკა

რაც შეეხება კონკრეტული პერიოდისათვის ფისკალური გარემოს ანალიზს, პირველი საკითხი ფისკალური პოლიტიკის მიმართულებების - ექსპანსიური თუ შემზღუდველი - შეფასებაა. ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს გადასახადების შემცირების ან ხარჯვითი ნაწილის ზრდის მეშვეობით დეფიციტის ზრდას, რაც თავის მხრივ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას ეკონომიკის სტიმულირებისათვის. საპირისპირო მიმართულების ფისკალურ ღონისძიებებს წარმოადგენს შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკა. მეორე საკითხი კი ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შეფასებაა ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში, რაც თავის მხრივ შესაძლებელია შეფასდეს გამოშვების (მშპ-ს) პოტენციური დონიდან ფაქტიური გამოშვების გადახრის მიმართულებითა და ზომით. მაგალითად, ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური აქტივობის

შენელებისას და პირიქით, შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური ბუმისას ანტიციკლურ ფისკალურ პოლიტიკად მოიხსენიებენ, რამდენადაც ასეთ დროს ფისკალური პოლიტიკა მიზნად ისახავს ეკონომიკური ციკლის გავლენის განეიტრალებას ეკონომიკაზე. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც მისაღებად მიიჩნევა არა ანტიციკლური, არამედ პროციკლური ფისკალური პოლიტიკა, მაგალითად მაღალი საგარეო დისბალანსის პირობებში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი მიზნად ისახავს ერთი მხრივ, ფისკალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შეფასებას, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული მიმართულების ანალიზს ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში.

საერთაშორისო პრაქტიკით, მთავრობის მიერ განხორციელებული ფისკალური ღონისძიებების ძირითადი მიმართულებებისა და ეკონომიკურ გარემოზე ზეგავლენის შესაფასებლად გამოიყენება განსხვავებული ფისკალური ინდიკატორები (ფისკალურ ინდიკატორებთან დაკავშირებით იხ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ფისკალური გარემოს მიმოხილვა, ივნისი, 2015). ხაზგასასმელია, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი ეყრდნობა ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული ნაერთი ბიუჯეტის და არა სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემებს. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული მაჩვენებლები ინფორმაციული ხასიათისაა და არ მტკიცდება პარლამენტის მიერ (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 38, პუნქტი 8).

პირველ რიგში, ფისკალური ინდიკატორები მოიცავს ბიუჯეტის მთლიან სალდოს მაჩვენებელს, რომელიც არსებული კანონმდებლობით გაიანგარიშება საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს (GFSM 2001) მიხედვით. ამასთანავე საყურადღებოა განხილულ იქნას მთლიანი ფისკალური ბალანსის მაჩვენებელი, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკით ეკონომიკური ანალიზისათვის უფრო აქტიურად გამოიყენება. მთლიანი ფისკალური ბალანსი წარმოადგენს ბიუჯეტის მთლიანი სალდოს, კორექტირებულ ოპერაციების რეკლასიფიკაციით¹¹. აღნიშნული ინდიკატორების დინამიკა წარმოდგენილია დიაგრამაზე #1.



დიაგრამა 7: ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო და ფისკალური ბალანსი (%-ულად მშპ-სთან)


როგორც დიაგრამა 1-დან ჩანს, 2019 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის (GFSM 2001) მაჩვენებელი ზრდის ტენდენციას ავლენს და მშპ-თან მიმართებაში -1.9%-ს შეადგენს. რაც შეეხება ფისკალური ბალანსის მოცულობას, 2019 წლისათვის ფისკალური ბალანსის მოცულობა გაუმჯობესებულია -2.9% ის დონემდე. აქვე საყურადღებოა, რომ პირველად ძირითადი მონაცემების

¹¹ ბიუჯეტის ბალანსთან დაკავშირებით იხ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მეთოდოლოგიური განმარტება ბიუჯეტის დეფიციტის გაანგარიშების შესახებ

და მიმართულებების დოკუმენტის ფარგლებში წარმოდგენილია სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის პარამეტრების დინამიკა საშუალოვადიან პერიოდში (საბაზისო სცენარისათვის), რაც ნაერთ ბიუჯეტთან ერთად ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო ორგანოების მიერ დაფუძნებული სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლებიდან განხორციელებული ოპერაციების შედეგებს. უნდა აღინიშნოს, რომ აგრეგირების უფრო მაღალი დონის გამოყენება ფისკალური პოლიტიკის ანალიზისას ხელს შეუწყობს პოლიტიკის ეფექტიან დაგეგმვასა და ფისკალური რისკების უკეთ ანალიზს.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის ბალანსის ზემოთ წარმოდგენილი მაჩვენებლები მოიცავს როგორც ეკონომიკური ციკლის (გამოშვების გაპის) ზეგავლენას ფისკალურ გარემოზე (ავტომატური ფისკალური სტაბილიზატორების გავლენით), ისე მთავრობის დისკრეციულ ფისკალურ ღონისძიებებს. ეს კი არ იძლევა ფისკალური პოლიტიკის შეფასებისთვის სრულყოფილ სურათს, ვინაიდან სწორედ ციკლური კომპონენტის გავლენით (ავტომატური სტაბილიზატორები) ერთიდაიმავე საბიუჯეტო პოლიტიკის პირობებში ბიუჯეტის მთლიანი სალდო შესაძლებელია დადებითი იყოს ეკონომიკური ბუმის დროს, ხოლო უარყოფით ეკონომიკური რეცესიის. შესაბამისად, აუცილებელია ცალ-ცალკე შეფასდეს, როგორც დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის მიმართულება, ასევე ეკონომიკური ციკლის გავლენა საბიუჯეტო აგრეგატებზე. დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შესაფასებლად მიზანშეწონილია ციკლურად კორექტირებული ბალანსის მაჩვენებლების გამოყენება, რომლებიც ბიუჯეტის ბალანსის აგრეგატებს აკორექტირებს ეკონომიკური ციკლის ეტაპის მიხედვით და შესაბამისად ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლისაგან ამორიცხავს ეკონომიკური ციკლის გავლენას. აქვე აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ციკლის ეტაპი ფასდება გამოშვების გაპის (რეალური მშპ-ს გადახრა მისი პოტენციური დონიდან) მოცულობით, რომელიც პირდაპირ დაკვირვებას არ ექვემდებარება და სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდებით გაანგარიშებული მისი მოცულობა ასახავს ეკონომიკური ციკლის ეტაპის ზოგად მიმართულებას.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2019 წლისათვის GFSM 2001 კლასიფიკაციის საფუძველზე გაანგარიშებული ციკლურად კორექტირებული მთლიანი სალდოს მაჩვენებელი ზრდის ტენდენციას ავლენს და -1.9%-ს შეადგენს (იხ. დიაგრამა 2). ციკლურად კორექტირებული ფისკალური ბალანსის კი გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს და -3.0%-ს უტოლდება.



დიაგრამა 8: ციკლურად კორექტირებული ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო და ფისკალური ბალანსი (%-ულად მშპ-სთან)
 * ციკლურად კორექტირებისას აღნიშნულ ანალიზი ეყრდნობა მთავრობის მიერ ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით წარმოდგენილ ოფიციალურ პროგნოზებს.

საბიუჯეტო (ფისკალური) პოლიტიკის ანალიზისას, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი მისი მიმართულების - მასტიმულირებელი (ექსპანსიური) თუ შემზღვეველი - შეფასებაა. ექსპანსიური

(მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს გადასახადების შემცირების ან ხარჯვითი ნაწილის ზრდის მეშვეობით დეფიციტის ზრდას, რაც თავის მხრივ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას ეკონომიკის სტიმულირებისათვის. საპირისპირო მიმართულებას გულისხმობს შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკა.

საქართველოსთვის ფისკალური პოლიტიკა სუსტი ანტიციკლორობით ხასიათდება, რამდენადაც 2018-2019 წლებისთვის გამოშვების გაპის გაუმჯობესებასთან ერთად უმჯობესდება ნაერთი ბიუჯეტის ციკლურად კორექტირებული ფისკალური ბალანსიც, თუმცა ციკლურად კორექტირებული მთლიანი სალდო შემცირების ტენდენციას ავლენს.

		გამოშვების გაპი (მშპ-ს პოტენციური დონიდან გადახრა)	
		უარყოფითი (გაუარესება)	დადებითი (გაუმჯობესება)
ფისკალური ბალანსის ცვლილება	დადებითი (გაუმჯობესება)	პრო-ციკლური საბიუჯეტო (ფისკალური) პოლიტიკა	ანტი-ციკლური საბიუჯეტო (ფისკალური) პოლიტიკა
	უარყოფითი (გაუარესება)	ანტი-ციკლური საბიუჯეტო (ფისკალური) პოლიტიკა	პრო-ციკლური საბიუჯეტო (ფისკალური) პოლიტიკა

დიაგრამა 9: ფისკალური პოლიტიკის მიმართულება ეკონომიკური ციკლის გათვალისწინებით

2. ფისკალური გარემო 2019 წლისათვის

2.1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2019 წლისთვის განსაზღვრულია 12.612 მლნ ლარის დონეზე, რაც 2018 წლის საგემო მაჩვენებლის დონეს აჭარბებს 1.4%-ით, 171 მლნ ლარით. აღნიშნული საყურადღებოა იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წელს დამტკიცებული გეგმით წინა წელთან შედარებით შემოსულობების ზრდა განსაზღვრულია 7%-ის დონეზე, ხოლო 2017 წელს ზრდის ტემპი 12%-ს შეადგენს.

	2017 წლის შესრულება	2018 წლის გეგმა	2018 წლის 8 თვის შესრულება	2018 წ. 8 თვე წლიურ გეგმასთან	2019 წლის პროექტი	2019 წ. პროექტი / 2018 წ. გეგმა	
						სხვაობა	%-ული ცვლილება
სულ შემოსულობები	11,618.7	12,441.0	7,596.9	61.1%	12,611.7	170.7	1.4%
შემოსავლები	9,750.3	10,314.2	6,829.2	66.2%	10,281.7	-32.6	-0.3%
გადასახადები	8,991.3	9,490.0	6,222.5	65.6%	9,565.0	75.0	0.8%

გრანტები	350.6	414.2	292.6	70.6%	266.7	-147.6	-35.6%
სხვა შემოსავლები	408.4	410.0	314.2	76.6%	450.0	40.0	9.8%
არაფინანსური აქტივების კლება	97.6	60.0	65.5	109.2%	60.0	0.0	0.0%
ფინანსური აქტივების კლება	119.1	80.0	52.8	66.0%	110.0	30.0	37.5%
ვალდებულებების ზრდა	1,651.6	1,986.8	649.3	32.7%	2,160.0	173.3	8.7%
საგარეო	1,252.1	1,586.8	494.7	31.2%	1,660.0	73.3	4.6%
საშინაო	399.5	400.0	154.6	38.7%	500.0	100.0	25.0%

ცხრილი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2017-2019 წლებში (მლნ ლარი).

კანონპროექტის გათვალისწინებული შემოსულობების მაჩვენებლის ზრდის წარმოდგენილი ტემპი უკავშირდება ერთი მხრივ, შემოსავლების მცირედით, 33 მლნ ოდენობით შემცირებას, ხოლო მეორე მხრივ, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების 173 მლნ ლარის ოდენობით და ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობების (სესხების დაფარვით მიღებული სახსრები) 30 მლნ ლარით (37%-ით) ზრდას. რაც შეეხება არაფინანსური აქტივების კლების მუხლით (პრივატიზაციიდან) შემოსულობებს, იგი განსაზღვრულია მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონის დონეზე.

წარმოდგენილი კანონპროექტით შემოსავლების (მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და სხვა შემოსავლებს) საპროგნოზო სიდიდე უმნიშვნელოდ (0.3%-ით) მცირდება და 10,282 მლნ ლარს შეადგენს. თავის მხრივ, შემოსულობების შემცირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების უმნიშვნელო ზრდამ, აგრეთვე, გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლის 148 მლნ ლარით კლება.

2.1.1. საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების ანალიზისას უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა განხილულ იქნას ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, როგორც საბაზისო, ისე მაკროეკონომიკური გარემოს საბაზისოსაგან განსხვავებული სცენარებით. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს თანდართულ ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით, **2019 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 11,200 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2018 წლისათვის მოსალოდნელ მაჩვენებელს 6.7%-ით აღემატება.**

		2017	2018	2019	2020	2021	2022
პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი	გადასახადები(მლნ ლარი)	9,779	10,607	11,438	12,164	13,235	14,285
	ზრდის ტემპი(%)		8.5%	7.8%	6.3%	8.8%	7.9%
	არაპირდაპირი	5,645	6,080	6,397	6,744	7,313	7,885
	პირდაპირი	4,134	4,526	5,041	5,420	5,921	6,400
მთავრობა	გადასახადები (მლნ ლარი)	9,779	10,500	11,200	12,100	13,000	14,000
	ზრდის ტემპი(%)		7.4%	6.7%	8.0%	7.4%	7.7%
	არაპირდაპირი	5,645	6,060	6,569	7,041	7,576	8,143

პირდაპირი	4,134	4,440	4,631	5,059	5,424	5,857
-----------	-------	-------	-------	-------	-------	-------

ცხრილი 3: საგადასახადო შემოსავლები (2017-2022 წწ)

როგორც ცხრილი #3-დან ჩანს, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2018 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ჯამური საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 10,607 მლნ ლარს, ხოლო 2019 წლისათვის - 11,438 მლნ ლარს, რაც მცირედით აღემატება მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებლებს შესაბამისი პერიოდებისათვის. აღნიშნული, თავის მხრივ, შესაძლებელია უკავშირდებოდეს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლების განსხვავებას მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებლებისაგან. თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, ცალკეული დისკრეციული ცვლილებების გავლენის (მათ შორის, ფინანსური სექტორის ახალი რეგულაციების) შეფასებისა და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური გარემოს საპროგნოზო მაჩვენებლების განახლების საფუძველზე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საბოლოო საპროგნოზო მაჩვენებლები (დეკემბერი, 2018) როგორც რეალური, ისე ფისკალური სექტორებისათვის შესაძლებელია განსხვავდებოდეს წარმოდგენილი პროგნოზებისაგან.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს, 2019 წლის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 9,565 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც მხოლოდ 0.8 პროცენტით (75 მლნ ლარით) აჭარბებს 2018 წლის გეგმურ მაჩვენებელს, ძირითადად დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებლის დინამიკის გავლენით (8%-ით შემცირება). კერძოდ, საბიუჯეტო კოდექსით და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით წარმოდგენილმა ცვლილებებმა, რომლის მიხედვითაც გათანაბრებითი ტრანსფერის და საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში მიიმართება დღგ-ს 19% (საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებებით გათვალისწინებული ფორმულის მიხედვით). შედეგად, 2019 წელს დღგ-ს საპროგნოზო მოცულობა 364 მლნ ლარით ნაკლებია 2018 წლის გეგმურ მაჩვენებელზე და შეადგენს 4,036 მლნ ლარს (მუნიციპალიტეტების წილი 946 მლნ ლარია). დეტალურად მუნიციპალიტეტების დაფინანსების სქემის ცვლილების შესახებ იხ. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილი.

რაც შეეხება გადასახადების სხვა ტიპებს, მიმდინარე წელთან შედარებით 2019 წლის პროგნოზით გათვალისწინებულია საშემოსავლო, მოგების, იმპორტისა და სააქციო გადასახადების ზრდა შესაბამისად 12%-ით, 25%-ით, 38%-ით და 4%-ით, რაც ნომინალურ გამოსახულებაში ჯამურად შეადგენს 569 მლნ ლარს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის გადასახადების პროგნოზებში გათვალისწინებულ იქნა მიმდინარე წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელში გათვალისწინებულია - საპენსიო რეფორმის და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები (1%-იანი გადასახადი მცირე ბიზნესისთვის), ხოლო მოგების გადასახადში - BP-ის მიერ მოგების გადასახადის სახით გადასახდელი თანხის ზრდა (ახალი ნავთობსადენის აშენებიდან გამომდინარე) და მიმდინარე წლის საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები (სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების გათავისუფლება მოგების გადასახადისგან).

2.1.2. შემოსულობების სხვა კომპონენტები

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა, წარმოდგენილი კანონპროექტით მცირედით 10%-იანი (40 მლნ ლარით) ზრდით არის წარმოდგენილი და შეადგენს 450 მლნ ლარს.

სხვა შემოსავლების ცალკეული კომპონენტების მხრივ ცვლილებები ძირითადად უკავშირდება საკუთრებიდან შემოსავლებს, რომელიც იზრდება 20 მლნ ლარით, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავლებს (მ.შ. ადმინისტრაციულ მოსაკრებლებსა და გადასახდელები იზრდება 15 მლნ ლარით), სანქციებს, ჯარიმებს, საურავებს (იზრდება ასევე 15 მლნ ლარით) და შერეულ და

არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს, რომელიც მცირდება 9 მლნ ლარით (მიმდინარე წლის 8 თვეში ამ მიმართულებით ბიუჯეტში მიღებულია წლიური გეგმის 53%).

სხვა შემოსავლების სტრუქტურაში გამორჩეული წილი საკუთრებიდან შემოსავლებს უკავია, რომელიც მთლიანი მოცულობის 38%-ს აღწევს და ნომინალურ გამოსახულებაში 171 მლნ ლარს უტოლდება. აქედან, პროცენტების სახით დაგეგმილია 85 მლნ ლარის (12 მლნ ლარით მეტი), დივიდენდების სახით - 66 მლნ ლარის (მ.შ.ეროვნული ბანკის მოგებიდან დივიდენდი შეადგენს 65 მლნ ლარს), ხოლო რენტის სახით 20 მლნ ლარის მიღება.

	2017 წლის შესრულება	2018 წლის გეგმა	2018 წლის 8 თვის შესრულება	2018 წ. 8 თვე წლიურ გეგმასთან	2019 წლის პროექტი	2019 წ. პროექტი/ 2018 წ. გეგმა	
						სხვაობა	%-ული ცვლილება
სხვა შემოსავლები	408.4	410.0	314.2	76.6%	450.0	40.0	9.8%
შემოსავლები საკუთრებიდან	141.8	151.0	149.1	98.7%	171.0	20.0	13.2%
<i>პროცენტები</i>	57.8	73.0	65.9	90.3%	85.0	12.0	16.4%
<i>დივიდენდები</i>	66.4	61.0	70.2	115.2%	66.0	5.0	8.2%
<i>რენტა</i>	17.6	17.0	12.9	76.1%	20.0	3.0	17.6%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	99.7	80.7	47.0	58.2%	94.5	13.8	17.1%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	55.3	60.0	50.1	83.5%	75.0	15.0	25.0%
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	19.6	2.4	6.4	266.6%	2.6	0.2	8.3%
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	92.1	115.9	61.6	53.2%	106.9	-9.0	-7.8%

ცხრილი 4: სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2017-2019 წლებში (მლნ ლარი).

რაც შეეხება შემოსულობების სხვა კომპონენტებს, არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონის დონეზე, 60 მლნ ლარის ოდენობით. აქედან, ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მისაღები შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი გაზრდილია 1.5 მლნ ლარით და შეადგენს 57 მლნ ლარს (მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით, აღნიშნული შემოსულობების შესრულება წლიური გეგმის 108%-ს შეადგენს), ხოლო მიწის რეალიზაციიდან შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 3 მლნ ლარის დონეზე. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან შემოსულობებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის ბიუჯეტში აღნიშნული მიმართულებით თანხების მიღება გათვალისწინებული არ არის (რასთან დაკავშირებითაც განმარტება წარმოდგენილი არ არის).

	2017 წლის შესრულება	2018 წლის გეგმა	2018 წლის 8 თვის შესრულება	2018 წ. 8 თვე წლიურ გეგმასთან	2019 წლის პროექტი	2019 წ. პროექტი / 2018 წ. გეგმა	
						სხვაობა	პროცენტული ცვლილება
არაფინანსური აქტივების კლება	97.6	60.0	65.5	109.2%	60.0	0.0	0.0%
ძირითადი აქტივები	59.3	55.5	59.9	107.9%	57.0	1.5	2.7%
მატერიალური მარაგები	0.03	0.0	0.01		0.0	0.0	
არაწარმოებული აქტივები	38.3	4.5	5.6	125.1%	3.0	-1.5	-33.3%
მ.შ მიწა	5.3	3.0	4.1	136.2%	3.0	0.0	0.0%
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	33.0	1.5	1.5	103.1%	0.0	-1.5	-100.0%

ცხრილი 5: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან 2017-2019 წლებში (მლნ ლარი).

2.2. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ანალიზისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების ძირითადი კომპონენტების, კერძოდ, სახელმწიფო მოხმარებისა და სახელმწიფო ინვესტიციების დინამიკის ანალიზი, რაც ასახავს ფისკალური პოლიტიკის წარმოდგენილ მიმართულებებს. აღნიშნული განსაკუთრებით საყურადღებოა იმის გათვალისწინებით, რომ ფისკალური პოლიტიკის ეკონომიკური გავლენა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია გამოყენებულ ფისკალურ ინსტრუმენტზე, ვინაიდან მთავრობის მოხმარებისა (შრომის ანაზღაურება და საქონელი და მომსახურება) და ინვესტიციების (არაფინანსური + ფინანსური აქტივების ზრდა) გავლენა რეალურ მშპ-ზე განხვავდება, როგორც მასშტაბის, ისე ხანგრძლივობის მიხედვით.

საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი კანონპროექტს თანდართული 2019-2022 წწ. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მიხედვით, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები 10,196 მლნ. ლარს უტოლდება და 2018 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს 607 მლნ ლარით აღემატება, მათ შორის სახელმწიფო მოხმარების (შრომის ანაზღაურება და საქონელი და მომსახურება) ზრდის მაჩვენებელი 56 მლნ. ლარს შეადგენს. ამავდროულად, იზრდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (ე.წ. კაპიტალური ხარჯები¹²), რომლის საპროგნოზო მოცულობა 3,152 მლნ. ლარს უტოლდება და 2018 წლის მოსალოდნელ მაჩვენებელზე 297 მლნ. ლარით (10.4%-ით) მეტია. ჯამურად, 2019 წლისათვის სახელმწიფო ინვესტიციების საპროგნოზო მოცულობა (არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდა) 3587 მლნ. ლარს უტოლდება და 2018 წლის მოსალოდნელ მაჩვენებელს 1.7%-ით (47 მლნ. ლარით) აღემატება.

რაც შეეხება აღნიშნული მაჩვენებლების დინამიკას მშპ-სთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია რომ 2018 წლის მოსალოდნელ მაჩვენებლებთან შედარებით სახელმწიფო მოხმარება (%-ულად მშპ-სთან) კლების ტენდენციას ავლენს და 2019 წლისათვის 7.7%-იდან 7.2%-მდე მცირდება. სახელმწიფო ინვესტიციების მაჩვენებელი (%-ულად მშპ-სთან) მცირდება 8.5%-იდან 7.9%-მდე, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (%-ულად მშპ-სთან) იზრდება 0.2%-ული პუნქტით.


¹² კაპიტალურ ხარჯებად და სახელმწიფო ინვესტიციებად კლასიფიცირება არ არის განსაზღვრული საბიუჯეტო კლასიფიკაციით და ეყრდნობა საბიუჯეტო ოფისის ანალიტიკოსთა სუბიექტურ განსჯას დაინტერესებულ მხარეთა აღქმადობის გაუმჯობესებისათვის.

	2017 წელი ფაქტი	2018 წელი გეგმა	2019 წელი პროექტი (I წარდგენა)	2019 წ. პროექტი/2018 წ. გეგმა სხვაობა	2019 წ. პროექტი/2018 წ. გეგმა ზრდის ტემპი
ხარჯები	9,194.3	9,589.0	10,196.0	607.0	6.33%
სახელმწიფო მოხმარება	3,184.6	3,214.0	3,270.0	56.0	1.74%
შრომის ანაზღაურება	1,648.9	1,710.0	1,764.0	54.0	3.16%
საქონელი და მომსახურება	1,535.7	1,504.0	1,506.0	2.0	0.13%
სახელმწიფო ინვესტიციები	3,308.4	3,540.0	3,587.0	47.0	1.33%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,313.9	2,855.0	3,152.0	297.0	10.40%
ფინანსური აქტივების ზრდა	994.5	685.0	435.0	-250.0	-36.50%

ცხრილი 6 : ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლები (მლნ ლარი: 2017-2019 წწ.).

	2017 წელი ფაქტი	2018 წელი გეგმა	2019 წელი პროექტი (I წარდგენა)
ხარჯები	24.2%	23.0%	22.6%
სახელმწიფო მოხმარება	8.4%	7.7%	7.2%
შრომის ანაზღაურება	4.3%	4.1%	3.9%
საქონელი და მომსახურება	4.0%	3.6%	3.3%
სახელმწიფო ინვესტიციები	8.7%	8.5%	7.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	6.1%	6.8%	7.0%
ფინანსური აქტივების ზრდა	2.6%	1.6%	1.0%

ცხრილი 7: ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლები %-ულად მშპ-სთან (%-ულად მშპ-სთან); (2017-2019 წწ.).



დაგრამა 10: სახელმწიფო მოხმარების და ინვესტიციების დინამიკა (%-ულად მშპ-სთან); (2017-2019 წწ.).

გადასახდებლების კომპოზიციის ზემოთაღნიშნული ტენდენცია საყურადღებოა იმის გათვალისწინებით, რომ საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, კვარტალურ მონაცემებზე დაყრდნობით, სახელმწიფო მოხმარების ზრდის გავლენა მშპ-ზე პირველ კვარტალში საკმაოდ მაღალია, თუმცა შემდგომი პერიოდიდან მნიშვნელოვნად მცირდება. მართალია, სახელმწიფო ინვესტიციების მულტიპლიკატორი პირველ კვარტალში შედარებით დაბალია, თუმცა შემდგომი პერიოდიდან ზრდის ტენდენციას ავლენს და სახელმწიფო მოხმარების მულტიპლიკატორთან შედარებით არსებითად

მაღალია (დეტალურად, იხ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პუბლიკაცია „ფისკალური მულტიპლიკატორის არსი და შეფასება“).

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებს, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 12,730 მლნ ლარის დონეზე და 2018 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით გადასახდელების ზრდის ტემპი 2.2%-ს შეადგენს. გადასახდელების ცალკეულ კომპონენტებთან მიმართებაში, მიმდინარე წლის გეგმურ მაჩვენებლებთან შედარებით გათვალისწინებულია არსებითი ზრდა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებისათვის (ე.წ. კაპიტალური ხარჯების) - 454 მლნ ლარით (28%-ით) შეადგენს, ასევე არსებითად იზრდება ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები - 174 მლნ ლარით (23%-ით), ძირითადად საგარეო ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელების ზრდის გავლენით. ამასთან, 442 მლნ ლარით (4.5%-ით) შემცირებაა გათვალისწინებული ხარჯებისათვის (ე.წ. მიმდინარე ხარჯები), რაც ძირითადად უკავშირდება გრანტების მუხლით (924 მლნ ლარით) ხარჯების არსებით შემცირებას (აღნიშნული მუხლით აღრიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები, შესაბამისად, აღნიშნული დინამიკა დიდწილად განპირობებულია მუნიციპალიტეტების დაფინანსების ტრანსფერებიდან გადასახადების გადანაწილების მექანიზმზე გადასვლით, რომელიც წარმოდგენილი პროექტით 2019 წლიდან უნდა ამოქმედდეს). ხარჯების სხვა კომპონენტებიდან ნომინალურ გამოსახულებაში ყველაზე არსებითი ზრდა ვლინდება სოციალური უზრუნველყოფის (280 მლნ ლარით) ხარჯებისათვის, შესაბამისად 81 და 74 მლნ ლარით იზრდება სხვა და პროცენტის ხარჯები და ასევე გათვალისწინებულია შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯების ზრდა 60 მლნ ლარით (4.3%-ით).

	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა / 2017 ფაქტი	2018 წლის 8 თვე	2019 წლის პროექტი	2019 პროექტი / 2018 გეგმა	
			პროცენტული ცვლილება			სხვაობა	პროცენტული ცვლილება
სულ გადასახდელები	11,765	12,460	5.9%	7,211	12,730	270	2.2%
ხარჯები	9,372	9,721	3.7%	5,870	9,279	-442	-4.5%
შრომის ანაზღაურება	1,385	1,414	2.0%	895	1,474	60	4.3%
საქონელი და მომსახურება	1,248	1,201	-3.8%	759	1,194	-7	-0.6%
პროცენტი	477	550	15.4%	359	624	74	13.5%
სუბსიდიები	486	445	-8.5%	284	439	-6	-1.3%
გრანტები	1,346	1,379	2.4%	627	455	-924	-67.0%
სოციალური უზრუნველყოფა	3,324	3,493	5.1%	2,245	3,773	280	8.0%
სხვა ხარჯები	1,105	1,239	12.2%	701	1,321	81	6.6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	972	1,629	67.6%	754	2,082	454	27.9%
ფინანსური აქტივების ზრდა	906	350	-61.4%	144	434	84	24.1%
ვალდებულებების კლება	515	760	47.5%	443	934	174	22.9%

ცხრილი 8: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (მლნ ლარი).


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების პრიორიტეტების მიხედვით ალოკაცია წარმოდგენილია ცხრილში N13.

პრიორიტეტი*	2019 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,828.5	3,826.9	1.6	4,121.3	4,221.3	4,321.4
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	2,148.8	1,931.2	217.6	2,221.7	2,310.7	2,401.7
რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი	2,245.4	2,133.9	111.5	3,030.6	3,836.4	3,999.5
განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება	1,654.3	1,292.3	362.1	1,780.4	1,829.5	1,895.8
მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება	341.7	186.8	154.9	343.2	345.2	347.4
ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა	334.1	174.7	159.4	359.4	368.1	326.9
იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა	100.7	100.7	0.0	128.7	138.7	158.7
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	329.1	308.7	78.9	336.4	339.1	347.9
საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია	127.0	126.5	0.5	127.0	127.0	127.0
სოფლის მეურნეობა	254.6	244.8	9.8	300.9	303.8	272.7
სასამართლო სისტემა	146.1	92.5	53.6	139.6	140.4	141.1
გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა	108.4	53.3	55.1	104.4	108.7	116.6


ცხრილი 9: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების განაწილება პრიორიტეტების მიხედვით (მლნ ლარი). წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართული ინფორმაცია პროგრამებისა და მათი მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

* პრიორიტეტების მიხედვით ალოკაცია არ ითვალისწინებს საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახდელებს და შესაძლებელია არ იძლეოდეს სრულყოფილ სურათს თანხობრივი განაწილების შესახებ.

რაც შეეხება მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით ასიგნებების დინამიკას 2018 წლის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში, მხარჯავი დაწესებულებების უდიდესი ნაწილისათვის ასიგნებების ზრდის ტემპი 20%-ს არ აღემატება, ამასთან, 18 მხარჯავი დაწესებულებისათვის ასიგნებები ნარჩუნდება 2018 წლის გეგმით განსაზღვრულ დონეზე ან მცირდება 10%-ზე ნაკლები ოდენობით. რაც შეეხება პროგრამების დონეზე დინამიკას, პროგრამების უმრავლესობისათვის ასიგნებები ნარჩუნდება 2018 წლის დონეზე/მცირდება 10%-ზე ნაკლები ოდენობით ან ზრდის ტემპი 0%-20% ინტერვალში მერყეობს. 2018-2019 წწ. პერიოდისათვის ასიგნებების %-ული ცვლილების სიხშირეთა განაწილება მხარჯავი დაწესებულებებისა და პროგრამების დონეზე წარმოდგენილია დიაგრამაზე #11 და #12.



დიაგრამა 11: სიხშირეთა განაწილება მხარჯავი დაწესებულებების დონეზე



დიაგრამა 12: სიხშირეთა განაწილება მხარჯავი დაწესებულებების დონეზე

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2019 წლის პროექტი/2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი/2018 წლის გეგმა %-ულად
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,834.10	1,600.00	2,850.00	1,250.00	78.1%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	689,428.30	229,550.00	324,750.00	95,200.00	41.5%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	546,148.10	570,220.00	643,500.00	73,280.00	12.9%
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,411.80	1,400.00	1,600.00	200.00	14.3%
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	6,423.70	5,500.00	6,400.00	900.00	16.4%

ცხრილი 10: მხარჯავი დაწესებულებები, რომელთათვისაც %-ულად ვლინდება ასიგნებების ყველაზე მაღალი ზრდა* (მლნ ლარი, %).

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2019 წლის პროექტი/2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი/2018 წლის გეგმა %-ულად
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	17,940.40	15,822.00	15,800.00	-22.00	-0.1%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	64,259.70	67,058.20	27,487.10	-39,571.10	-59.0%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	770,019.60	802,000.00	790,000.00	-12,000.00	-1.5%

ცხრილი 11: მხარჯავი დაწესებულებები, რომელთათვისაც %-ულად ვლინდება ასიგნებების ყველაზე მაღალი შემცირება* (მლნ ლარი, %).

* სიხშირეთა განაწილებიდან/ცხრილებიდან ამორიცხულია საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები, ასევე ის მხარჯავი დაწესებულებები/პროგრამები, რომლებიც აღარ არის გათვალისწინებული 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით, თუმცა ასახული იყო 2017-2018 წწ. ბიუჯეტში, ან რომლებიც დაემატა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში.

რაც შეეხება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულია აღნიშნული ტიპის გადასახდელების გეგმური მაჩვენებლის შემცირება 328 მლნ ლარით მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით, რაც ძირითადად უკავშირდება ერთი მხრივ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების გადასაცემი ტრანსფერების მოცულობის შემცირებას 739 მლნ ლარით (96%-ით) დაფინანსების სქემის ცვლილების გავლენით, ხოლო მეორე მხრივ, საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის მუხლით გადასახდელების 215 მლნ ლარით (21%-ით) და დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების ზრდას.

საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებთან დაკავშირებით საყურადღებოა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარმოდგენილი საბიუჯეტო კოდექსის ცვლილებები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მუნიციპალიტეტების დაფინანსების სქემის ცვლილება, კერძოდ, არსებული საკანონმდებლო ჩარჩოთი განსაზღვრული გათანაბრებითი ტრანსფერისა და საშემოსავლო გადასახადის ჩანაცვლება ხდება დღგ-ს განაწილებით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შემოსულობების კომპოზიცია, კერძოდ, მათ ჯამურ შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლებისა და ტრანსფერების წილი, ვინაიდან აღნიშნული არსებით გავლენას ახდენს ფისკალურ ეფექტიანობასა და მდგრადობაზე. მართალია, როგორც საგადასახადო შემოსავლებს, ისე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერებს ერთი მიზანი აქვს - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის საკუთარი უფლებამოსილებათა განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა, თუმცა, მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის და განაწილების მეთოდები.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შემოსულობების შეფასება ფისკალური პოლიტიკის სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება: ეფექტიანობა, სტაბილურობა და თანასწორობა (equity). ეფექტიანობის პრინციპის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შემოსულობების წყარო უნდა აუმჯობესებდეს მათ მიერ გაწეული ხარჯის ეფექტიანობას და უნდა ასტიმულირებდეს ეკონომიკური და ფისკალური ბაზის გაუმჯობესებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ფისკალურ დისციპლინას. სტაბილურობის პრინციპის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შემოსულობები უნდა იყოს სტაბილური დროის განმავლობაში, რათა შეამსუბუქოს ეკონომიკური ციკლისა თუ გაუთვალისწინებელი შოკის ეფექტი. ხოლო, თანასწორობის პრინციპის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შემოსულობები ხელს უნდა უწყობდეს თანაბარი

საგადასახადო ტვირთის პირობებში თანაბარი ხარისხის/დონის საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობას. აღნიშნულ მიზნებზე საგადასახადო შემოსავლები და ტრანსფერები განსხვავებულად ზემოქმედებენ, შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შემოსულობების კომპოზიცია დამოკიდებულია იმაზე, თუ ზემოთხსენებული სამი პრინციპიდან რომელს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ეფექტიანობისა და სტაბილურობის პრინციპების გათვალისწინებით, ფისკალური ფედერალიზმის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული შეხედულებით (OECD 2009) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის საკუთარი უფლებამოსილების დაფინანსების ძირითად წყაროს საკუთარი საგადასახადო შემოსავლები უნდა წარმოადგენდეს. პირველ რიგში, აღნიშნული ზრდის ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღებას საკუთარი მოსახლეობის პრეფერენციების მიმართ, რაც თავის მხრივ, აუმჯობესებს რესურსების გადანაწილებასა და საბიუჯეტო მართვის ეფექტიანობას. ამასთან, აღნიშნული ხელს უწყობს დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებას, ვინაიდან ისინი, ვინც სარგებლობენ საჯარო სერვისებით, თავად იხდიან ამ მომსახურებისთვის, თან ისე რომ თავადვე განსაზღვრავენ გადასახადის დონეს. ამასთან, საკუთარ საგადასახადო შემოსავლებზე დამოკიდებულება, პირდაპირ ასტიმულირებს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს იყვნენ ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულნი, ვინაიდან აღნიშნული პირდაპირ აისახება მათი ეკონომიკურ ბაზასა და, შესაბამისად, შემოსულობების დონეზე. მართალია, აღნიშნული ეფექტებიდან გამომდინარე, საგადასახადო შემოსავლები დადებითად აისახება ეფექტიანობისა და სტაბილურობის პრინციპებზე, თუმცა არსებობს ცალკეული კითხვის ნიშნები თანასწორობის პრინციპთან მიმართებაში, ვინაიდან საგადასახადო შემოსავლების მობილიზების უნარი (საგადასახადო ბაზა) არათანაბრად არის გადანაწილებული ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს შორის, რაც, მნიშვნელოვანწილად აისახება თანაბარი საჯარო სერვისების უზრუნველყოფის შესაძლებლობაზე. სწორედ აღნიშნული უთანასწორობის გათანაბრება წარმოადგენს, როგორც წესი, ბიუჯეტის დონეებს შორის ტრანსფერების ძირითად მიზანს.

არსებული კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტებისათვის გათვალისწინებულია 4 ტიპის ტრანსფერი:

- გათანაბრებითი ტრანსფერი - განსხვავებული ფინანსური შესაძლებლობების გათანაბრებისათვის მათი ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით;
- მიზნობრივი ტრანსფერი - დელეგირებული უფლებამოსილების ფინანსური უზრუნველყოფისათვის;
- სპეციალური ტრანსფერი - სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად;
- კაპიტალური ტრანსფერი - კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად.

არსებული ჩარჩოთი, გათანაბრებითი ტრანსფერის განაწილება მუნიციპალიტეტებს შორის ექვემდებარება შესაბამის წინასწარ განსაზღვრულ ფორმულას და განაწილება მტკიცდება სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით. კერძოდ, ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამსა და საკუთარ შემოსავლებს (გრანტების ამორიცხვით) შორის სხვაობით ($T = E - R$). ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამის (რესურსების საჭიროება) შეფასება ხდება სტატისტიკურ-გათანაბრებითი კოეფიციენტისა და რესურსების მთლიანი მოცულობის (resource pool) გათვალისწინებით, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთარი შემოსავლები (ფისკალური ქმედუნარიანობა) განისაზღვრება

მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული სამი წლის ფაქტობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით. ფორმულის სირთულე და სპეციფიკა ქმნის გამოწვევებს გათანაბრებითი ტრანსფერის სახით სახსრების განაწილების მექანიზმის გამჭვირვალობისა და მუნიციპალიტეტებისათვის ეფექტიანი სტიმულების შექმნის კუთხით (დეტალურად, იხ. დანართი 4).

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებული საკანონმდებლო გარემო ითვალისწინებს, საშემოსავლო გადასახადის ცალკეული სახეების დამატებით მიმართვას მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში (2015 წელს განხორციელებულ რეფორმის საფუძველზე), რაც სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო გადასახადიდან ამოირიცხება. ამასთან, მუნიციპალიტეტში მისამართი საგადასახადო შემოსავლების ოდენობის პროგნოზირებასთან დაკავშირებული გამოწვევების გათვალისწინებით, მთავრობას 2016 წელს დამატებით მიენიჭა უფლებამოსილება მუნიციპალიტეტების შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მიზნით მიემართა დამატებითი სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მისი დისკრეციით.

წარმოდგენილი ცვლილებით, ზემოაღნიშნული ორი კომპონენტის ნაცვლად, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში განაწილდება დამატებული ღირებულების გადასახადის ჯამური საპროგნოზო მოცულობის 19%. განაწილების %-ული წილი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის განისაზღვრება წლიური ბიუჯეტის კანონით, ხოლო განაწილება დაეყრდნობა შემდეგ ფორმულას:

„მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის:

- ა) 60% ნაწილდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიხედვით;
- ბ) 15% ნაწილდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6 წლამდე ბავშვების რაოდენობის მიხედვით;
- გ) 10% ნაწილდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე მოზარდების რაოდენობის მიხედვით;
- დ) 5% ნაწილდება მუნიციპალიტეტის ფართობის მიხედვით;
- ე) 10% ნაწილდება მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრების სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით.“

გარდა ზემოაღნიშნულისა, გათანაბრებითი ტრანსფერის სისტემიდან დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების სისტემაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდად განისაზღვრება 2019-2023 წლის პერიოდი. ამასთან მითითებულია, რომ „2019 წელს თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების შედეგად მისაღები თანხის საპროგნოზო მაჩვენებელი, 2018 წელს ამავე მუნიციპალიტეტის გათანაბრებითი ტრანსფერისა და ამ კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის ჯამურ მაჩვენებელს არ უნდა აღემატებოდეს 25%-ზე მეტით“, ხოლო ახალი სისტემის პირობებში კონკრეტული მუნიციპალიტეტებისათვის 25%-ზე მეტად წარმოქმნილი მეტობა გადანაწილდება დანაკლისის მქონე მუნიციპალიტეტებზე. 2018 წელს გათანაბრებითი ტრანსფერისა და საშემოსავლოს ჯამური მოსალოდნელი მაჩვენებელი, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონსა და ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით, 839 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ახალი სისტემის ფარგლებში გადასანაწილებელი ჯამური თანხა 2019 წლისათვის (დღგ-ს საპროგნოზო მოცულობის 19%) 947 მლნ ლარს შეადგენს, ანუ ზრდა შეადგენს 108 მლნ ლარს (13%-ს). მუნიციპალიტეტების მიხედვით ალოკაცია წარმოდგენილია ცხრილში N12 (უდიდესი წილი, კერძოდ გასანაწილებელი სახსრების 50.01% მიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში).

საბიუჯეტო ოფისის კალკულაცია				მთავრობა		2019 წ. გეგმა/ 2018 წ. გეგმა	
ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	გათანაბრებითი ტრანსფერისა და საშემოსავლო გადასახადის ჯამი 2018 წლისათვის	დღგ-ს განაწილება სტატისტიკურ ფორმულაზე დაყრდნობით, 2019 წ. (საბიუჯეტო ოფისის კალკულაცია)	დღგ-ს განაწილება 25%-იანი ზრდის ტემპის შეზღუდვის გათვალისწინებით, 2019 წ. (საბიუჯეტო ოფისის კალკულაცია)	დღგ-ს საბოლოო განაწილება 2019 წლისათვის (საბიუჯეტო ოფისის კალკულაცია)	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა ახალი სისტემის პირობებში (ფინანსთა სამინისტრო, ბიუჯეტის პროექტს თანდართული განმარტებითი ბარათი)	მლნ ლარი	%
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	435.81	242.28	242.28	473.52	473.42	37.61	9%
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	45.69	34.03	34.03	47.96	47.95	2.26	5%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	7.44	17.02	9.3	9.3	9.3	1.86	25%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	5.13	12.06	6.41	6.41	6.41	1.28	25%
ქედის მუნიციპალიტეტი	4.89	9.54	6.11	6.11	6.11	1.22	25%
შუახევის მუნიციპალიტეტი	0.2	8.61	0.25	0.25	0.25	0.05	25%
ხულოს მუნიციპალიტეტი	1.74	14.03	2.17	2.17	2.17	0.43	25%
ახმეტის მუნიციპალიტეტი	5.27	10.91	6.59	6.59	6.59	1.32	25%
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	6.89	12.55	8.61	8.61	8.61	1.72	25%
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	1.11	6.57	1.38	1.38	1.38	0.27	24%
თელავის მუნიციპალიტეტი	11.26	13.44	13.44	13.44	13.44	2.18	19%
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	7.07	9.83	8.84	8.84	8.84	1.77	25%
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	6.28	13.28	7.86	7.86	7.86	1.58	25%
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	3.02	7.8	3.77	3.77	3.77	0.75	25%

ყვარლის მუნიციპალიტეტი	3.28	7.1	4.1	4.1	4.1	0.82	25%
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	31.18	32.95	32.95	32.95	32.94	1.76	6%
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	6	10.75	7.49	7.49	7.49	1.49	25%
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	2.88	4.65	3.6	3.6	3.6	0.72	25%
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	6.31	12.73	7.88	7.88	7.88	1.57	25%
ზაღდათის მუნიციპალიტეტი	4.06	5.17	5.07	5.07	5.07	1.01	25%
ვანის მუნიციპალიტეტი	6.23	5.45	5.45	6.38	6.38	0.15	2%
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	7.03	12.68	8.79	8.79	8.79	1.76	25%
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	6.66	7.65	7.65	7.65	7.65	0.99	15%
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	5.61	10.48	7.01	7.01	7.01	1.4	25%
საჩხერის მუნიციპალიტეტი	7.82	11.19	9.77	9.77	9.77	1.95	25%
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	4.39	4.98	4.98	4.98	4.95	0.56	13%
ხონის მუნიციპალიტეტი	6.32	5.27	5.27	6.52	6.52	0.2	3%
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	2.72	8.99	3.4	3.4	3.4	0.68	25%
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	21.89	22.9	22.9	22.9	22.89	1	5%
აბაშის მუნიციპალიტეტი	5.3	4.86	4.86	5.39	5.39	0.09	2%
მარტვილის მუნიციპალიტეტი	6.02	7.63	7.53	7.53	7.53	1.51	25%
მესტიის მუნიციპალიტეტი	2.68	7.35	3.35	3.35	3.35	0.67	25%
სენაკის მუნიციპალიტეტი	5.24	8.7	6.55	6.55	6.55	1.31	25%

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	5.14	5.2	5.2	5.2	5.2	0.06	1%
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	5.28	6	6	6	5.99	0.71	13%
ხობის მუნიციპალიტეტი	2.6	6.97	3.25	3.25	3.25	0.65	25%
გორის მუნიციპალიტეტი	22.81	30.1	28.51	28.51	28.51	5.7	25%
ქარელის მუნიციპალიტეტი	7.23	9.74	9.03	9.03	9.03	1.8	25%
კასპის მუნიციპალიტეტი	4.55	10.56	5.68	5.68	5.68	1.13	25%
ხაშურის მუნიციპალიტეტი	7.89	12.57	9.86	9.86	9.86	1.97	25%
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	17.25	28.2	21.56	21.56	21.56	4.31	25%
ზოლნისის მუნიციპალიტეტი	0.7	13.01	0.88	0.88	0.88	0.18	26%
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	1.5	19.51	1.88	1.88	1.88	0.38	25%
დმანისის მუნიციპალიტეტი	3.95	8.97	4.94	4.94	4.94	0.99	25%
თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი	3.99	7.48	4.99	4.99	4.99	1	25%
მარნეულის მუნიციპალიტეტი	9.3	25.04	11.63	11.63	11.63	2.33	25%
წალკის მუნიციპალიტეტი	1.12	10.12	1.4	1.4	1.4	0.28	25%
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	6.69	6.98	6.98	6.98	6.98	0.29	4%
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	10.65	13.76	13.31	13.31	13.31	2.66	25%
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	2.42	5.04	3.02	3.02	3.02	0.6	25%
ზორჯომის მუნიციპალიტეტი	0.78	8.31	0.98	0.98	0.98	0.2	26%
ადიგენის მუნიციპალიტეტი	3.44	7.76	4.3	4.3	4.3	0.86	25%

ასპინძის მუნიციპალიტეტი	0.53	6.11	0.66	0.66	0.66	0.13	25%
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	0.52	22.72	0.65	0.65	0.65	0.13	25%
ახალციხის მუნიციპალიტეტი	6.91	13.16	8.64	8.64	8.64	1.73	25%
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	2.23	13.46	2.79	2.79	2.79	0.56	25%
დუშეთის მუნიციპალიტეტი	3.86	10.61	4.82	4.82	4.82	0.96	25%
თიანეთის მუნიციპალიტეტი	3.3	5.57	4.12	4.12	4.12	0.82	25%
მცხეთის მუნიციპალიტეტი	3.31	12.82	4.13	4.13	4.13	0.82	25%
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	0.07	3.07	0.09	0.09	0.09	0.02	29%
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	6.88	6.6	6.6	6.93	6.93	0.05	1%
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	2.76	3.58	3.45	3.45	3.45	0.69	25%
ონის მუნიციპალიტეტი	2.97	4.35	3.72	3.72	3.72	0.75	25%
ცაგერის მუნიციპალიტეტი	4.67	5.99	5.84	5.84	5.84	1.17	25%
სულ	838.68	946.77	698.55	946.77	946.58	107.9	13%

ცხრილი 12: დღგ-ს განაწილება მუნიციპალიტეტების დონეზე (მლნ ლარი).

რაც შეეხება საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელების სხვა კომპონენტებს, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მოცულობა იზრდება 20 მლნ ლარით და განსაზღვრულია 280 მლნ ლარის დონეზე, ხოლო 8 თვის მდგომარეობით გამოყოფილი სახსრები 75 მლნ ლარს, ხოლო შესრულება - 68.6 მლნ ლარს შეადგენს. რაც შეეხება მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდს, მისი მოცულობა ანალოგიურად შენარჩუნდებულია 2018 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებლის დონეზე, ხოლო 8 თვის მდგომარეობით გამოყოფა და შესრულება, შესაბამისად, 4.5 მლნ ლარსა და 3.2 მლნ ლარს შეადგენს.

აქვე საყურადღებოა სარეზერვო ფონდებთან მიმართებაში წარმოდგენილი ცვლილება. 2019 წლის პროექტით გათვალისწინებულია, მთავრობის სარეზერვო ფონდის გეგმური მაჩვენებლის განსაზღვრა 2018 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებლის დონეზე (50 მლნ ლარი). გასული წლებისაგან განსხვავებით, როდესაც წლის განმავლობაში განხორციელებული გადანაწილებების საფუძველზე საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და შესაბამისად, შესრულება აჭარბებდა ბიუჯეტით განსაზღვრულ საწყის გეგმას, მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით გამოყოფილი სახსრები 25 მლნ ლარს, ხოლო გადარიცხული სახსრები - 22.7 მლნ ლარს შეადგენს. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ოდენობა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით ნარჩუნდება 2018 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებლის (5 მლნ ლარი) დონეზე, ხოლო შესრულება 8 თვის მდგომარეობით 3.4 მლნ ლარს შეადგენს. აქვე საყურადღებოა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართული ცვლილებით, სარეზერვო ფონდების მაქსიმალური ზღვარი ჯამური გადასახდელების 2%-იდან მცირდება 1%-მდე. ამასთან, კოდექსით დადგენილი წესით სარეზერვო ფონდების მთლიანი მოცულობის გაზრდა იზღუდება თითოეულის დამტკიცებულ მოცულობასთან შედარებით 20%-ით.

	2017 წელი ფაქტი	2018 წელი გეგმა	2019 წელი პროექტი	2018 წ. პროექტი/2017 წ. გეგმა სხვაობა %-ული ცვლილება	
საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	2017*	2585.2	2257.5	-327.7	-12.7%
საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	665	1015	1230	215	21.2%
საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	274	295	324	29	9.8%
ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	942*	768	28.7	-739.3	-96.3%
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	4.9*	5	5	0	0.0%
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	73.7*	50	50	0	0.0%
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	297.3*	260	280	20	7.7%
მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდი	23.5*	20	20	0	0.0%

ცხრილი 13: საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები (მლნ ლარი).

* ფონდების ფაქტობრივი შესრულების ანალიზისას საყურადღებოა ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესრულების აღრიცხვის სპეციფიკა, კერძოდ, ორმაგი აღრიცხვის თავიდან ასაცილებლად შესრულების ეტაპზე ფონდებიდან მიმართული სახსრები აღრიცხება შესაბამისი მიმღები პროგრამის შესრულების ნაწილში.

2.3. სახელმწიფო ვალდებულებების დინამიკა

სახელმწიფო ვალდებულებებთან დაკავშირებით, როგორც დასაგეგმი წლისათვის, ისე საშუალოვადიან პერიოდში იზრდება საგარეო ვალდებულებების აღებისა და დაფარვის სახსრები.

საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით გათვალისწინებულია ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მატება საგარეო წყაროებიდან მისაღები თანხების 73 მლნ ლარისა და საშინაო დაფინანსების წყაროდან - 100 მლნ ლარის ოდენობით. კერძოდ, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები განსაზღვრულია 2,160 მლნ ლარის დონეზე, რაც 2018 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელს 173 მლნ ლარით (9%-ით) აღემატება.

საგარეო ვალდებულებების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი (1,660 მლნ ლარი) ითვალისწინებს გრძელვადიან საინვესტიციო კრედიტებს 1,365 მლნ ლარის ოდენობით და ბიუჯეტის მხარდამჭერი რესურსის სახით „სოციალური კეთილდღეობის პროგრამის“ ფარგლებში საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) 105 მლნ ლარის, „სსე-ს კორპორატიზაციისა და ენერგობაზრის რეფორმების პროგრამის“ ფარგლებში აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) 130 მლნ ლარის და ევროკავშირის „მაკროფინანსური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში (MFA) (EU) 60 მლნ ლარის ათვისებას.

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდას, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილია საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდა (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა) 500 მლნ ლარის ოდენობით, რაც 100 მლნ ლარით აჭარბებს მიმდინარე წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. რამდენადაც აღრიცხვის არსებული სპეციფიკით, წარმოდგენილი მაჩვენებელი ასახავს სახაზინო ფასიანი ქაღალდებიდან ვალდებულებების წმინდა ზრდას (სხვაობას ემისიით მიღებულ შემოსულობებსა და სახაზინო ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის დაფარვას შორის) და ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის დაგეგმილი დაფარვა შეადგენს 1,200 მლნ ლარს. გარდა ზემოაღნიშნულისა, საშინაო ვალდებულებების კლების მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) 40 მლნ ლარის ოდენობით.

	2016 წ. ფაქტი	2017 წ. ფაქტი	2018 წ. გეგმა	2019 წ. პროექტი	2018 წ./2017 წ.	2019 წ./2018 წ.	
					სხვაობა	სხვაობა	%-ული ცვლილება
ვალდებულებების ზრდა	1459	1651	1986	2160	335	174	8.76%
საშინაო	378.4	399.5	400	500	0.5	100	25.00%
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	378.4	399.5	400	500	0.5	100	25.00%
საგარეო	1080.6	1252.1	1586.7	1660	334.6	73.3	4.62%
სესხები	1080.6	1252.1	1586.7	1660	334.6	73.3	4.62%

ცხრილი 14: სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა (მლნ ლარი)

რაც შეეხება ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის თანხის დინამიკას, ზრდის ტენდენციას ავლენს საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვის სახსრები, რაც ძირითადად უკავშირდება ძირითადი თანხის დაფარვის სახსრების ზრდას 165 მლნ ლარის ოდენობით, საპროცენტო ხარჯები 50 მლნ ლარით იზრდება. კრედიტორების მიხედვით გადასახდელი სახსრების დინამიკა ავლენს, რომ საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის სახსრების ზრდა ძირითადად უკავშირდება საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი, აზიის განვითარების ბანკისადმი და განვითარების საერთაშორისო ასოციაციისადმი არსებული ვალდებულებების დაფარვას 2019 წლისათვის.

	2017 წ. ფაქტი	2018 წ. გეგმა	2019 წ. პროექტი	2019 წ./2018 წ.	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	685	1,015.00	1,230.00	215.00	21.18%
ხარჯები	254	290	340	50.00	17.24%
ვალდებულებების კლება	431	725	890	165.00	22.76%
საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	274	295	324	29.00	9.83%
ხარჯები	239	260	284	24.00	9.23%
ვალდებულებების კლება	35	35	40	5.00	14.29%

ცხრილი 15: სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა.

კრედიტორები	2019			2018			ცვლილება		
	ვალდების დაფარვა	პროცენტი	სულ	ვალდების დაფარვა	პროცენტი	სულ	ვალდების დაფარვა	პროცენტი	სულ
სულ	890	340	1,230	725	290	1,015	165	50	215
ავსტრია	4	0	4	0	1	1	4	-1	3
კუვეიტი	5	1	6	5	1	6	0	0	0
იაპონია	15	5	20	7	5	12	8	0	8
გერმანია	68	20	90	61	20	81	7	0	9
აშშ	6	1	7	6	1	7	0	0	0
სომხეთი	4	0	5	4	1	4	0	-1	1
აზერბაიჯანი	3	0	4	3	1	3	0	-1	1
ირანი	2	0	3	2	1	3	0	-1	0
ყაზახეთი	11	6	1	10	6	17	1	0	-16
ნიდერლანდები	0	0	1	1	0	1	-1	0	0
რუსეთი	26	6	32	23	7	30	3	-1	2
თურქეთი	6	1	7	5	1	6	1	0	1
უკრაინა	0	0	0	0	0	0	0	0	0
უზბეკეთი	0	0	0	0	0	0	0	0	0
საფრანგეთი	71	4	76	50	5	54	21	-1	22
ჩინეთი	1	-	1	1	0	1	0	0	0
IDA	265	30	295	204	31	236	61	-1	59

IBRD	35	76	111	29	54	83	6	22	28
IFAD	3	1	4	3	1	4	0	0	0
EBRD	41	5	46	31	5	36	10	0	10
EIB	26	14	40	23	11	34	3	3	6
ADB	165	65	230	111	38	149	54	27	81
IMF	131	2	132	146	4	150	-15	-2	-18
EU	-	0	0	0	0	0	0	0	0
CEB	-	0	1	0	0	0	0	0	1
AAIB	-	0	1	0	1	1	0	-1	0
ევრობონდები	-	0	100	0	86	86	0	-86	14
თურქმენეთი	0	10	11	1	10	11	-1	0	0

ცხრილი 16: კრედიტორული დავალიანებების დინამიკა (მლნ ლარი, 2018-2019 წწ.)

2018 წლისათვის სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 19.7 მლრდ ლარს შეადგენს, აღნიშნული მაჩვენებელი მიმდინარე წლისათვის 17.9 მლრდ ლარს შეადგენს (ბიუჯეტის კანონით). რაც შეეხება სახელმწიფო ვალის დინამიკას მშპ-სთან მიმართებაში, წარმოდგენილი საპროგნოზო მაკროკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო ვალის ნაშთის კლებას მშპ-ის 42.2%-მდე 2018 წლისათვის მოსალოდნელი 42.6%-დან. ამასთან, ანალოგიურმა ფარდობამ 2017 წლის დასასრულის მდგომარეობით 44.3% შეადგინა. გარდა ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ვალის მდგრადობის ანალიზი, რომელიც ასახავს სახელმწიფო ვალის დინამიკას განსხვავებული რისკების რეალიზების შემთხვევაში. როგორც ვალის მდგრადობის ანალიზიდან ვლინდება, სახელმწიფო ვალის დინამიკისათვის საყურადღებო ასპექტს წარმოადგენს ნომინალური გაცვლითი კურსის შოკი, რომლის რეალიზების შემთხვევაშიც ვალის მშპ-სთან ფარდობა 2019 წლისათვის 55.6%-ს უტოლდება და შემდგომი დინამიკით 2025 წლისათვის მცირდება მშპ-ს 49.0%-ის დონემდე. სხვა შოკების(მათ შორის ნომინალური გაცვლითი კურსის შოკის ამორიცხვით, კომბინირებული შოკის) რეალიზების შემთხვევაში, 2019 წლისათვის ვალის მშპ-სთან ფარდობა 43.0%- 45.4%-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო 2024 წლისათვის მშპ-ს 41%-43%-ს უტოლდება.

3. შესაბამისობა ფისკალურ წესებთან

ფისკალური წესები წარმოადგენს ფისკალური ჩარჩოს კომპონენტს, რომელიც ხანგრძლივ შეზღუდვებს აწესებს საბიუჯეტო აგრეგატებზე რაოდენობრივი ზღვრების მეშვეობით¹³. ფისკალური წესების ძირითად მიზანს წარმოადგენს არაზუსტი სტიმულებისა და ზედმეტ ხარჯვაზე არსებული ზეწოლის კორექტირება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ფისკალური დისციპლინა და საშუალო/გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობა, თუმცა ფისკალური წესები შეიძლება სხვა მიზანსაც ემსახურებოდეს. მაგალითად, ეკონომიკური სტაბილიზაცია - საბიუჯეტო შემოსავლების და ხარჯების სტრუქტურის ან მოცულობის ისეთი ცვლილება, რაც თავსებადი იქნება ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის ცვლილებებთან.

¹³ “A fiscal rule imposes a long-lasting constraint on fiscal policy through numerical limits on budgetary aggregates”; *Fiscal Rules in Response to the Crisis—Toward the “Next-Generation” Rules. A New Dataset; IMF Working Paper; p.5, July 2012*

ფისკალური წესების ძირითად კომპონენტებად საერთაშორისო პრაქტიკით განიხილება:

- წესის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც განსხვავდება წესების ტიპისა და ქვეყნების მიხედვით;
- ბიუჯეტის აგრეგირების დონე, რომელსაც ეხება შესაბამისი ზღვარი;
- მაჩვენებლების ხასიათი: საბიუჯეტო აგრეგატების (შემოსავლებისა ან/და დანახარჯების) მუხლები, რომლებზეც ვრცელდება ზღვარი;
- ავტომატური კორექტირების მექანიზმი: წესებიდან გადახვევების ავტომატური კორექტირების მექანიზმი წესების შესრულების ხელშეწყობისათვის;
- დამხმარე ღონისძიებები: ფისკალური წესების შესრულების მონიტორინგი მოითხოვს რიგ დამხმარე ღონისძიებებს და კარგ ინსტიტუციურ შესაძლებლობებს.

საბიუჯეტო აგრეგატების სახეების მიხედვით (რომელთა შეზღუდვასაც ფისკალური წესი ითვალისწინებს) გამოყოფენ ფისკალური წესების 4 ტიპს:

- **ვალის წესი**, რომელიც ადგენს სახელმწიფო ვალის მშპ-თან ფარდობის პირდაპირ ან მიზნობრივ ზღვარს.
- **საბიუჯეტო ბალანსის წესი**, რომელიც ადგენს ზღვარს ბიუჯეტის ბალანსზე (შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბიუჯეტის მთლიანი ან ციკლურად კორექტირებული/სტრუქტურული ბალანსი)
- **დანახარჯების წესი**, რომელიც აწესებს ზღვრებს ჯამურ, ძირითად ან მიმდინარე ხარჯებზე. ასეთი ზღვრები ტიპურად დაწესებულია აბსოლუტურ გამოსახულებაში ზრდის ტემპზე ან მშპ-თან ფარდობის სახით გარკვეული დროის პერიოდში - მერყეობს სამიდან ხუთ წლამდე.
- **შემოსავლის წესი**, რომელიც ადგენს შემოსავლების ზედა ან/და ქვედა ზღვარს და მიზნად ისახავს შემოსავლების ზრდის ან საგადასახადო ტვირთის ზედმეტად ზრდის თავიდან აცილებას. შემოსავლებზე ზედა და ქვედა ზღვრების დაწესება შეიძლება რთული იყოს, ვინაიდან შემოსავლებს შეიძლება გააჩნდეს დიდი ციკლური კომპონენტი, რომელიც ეკონომიკური ციკლის ეტაპის მიხედვით არსებითად ცვალებადია. შესაბამისად, ავტომატური ფისკალური სტაბილიზატორების გათვალისწინების გარეშე შემოსავლების წესებმა შესაძლებელია განაპირობოს პროციკლური ფისკალური პოლიტიკის განხორციელება.

საქართველოში ფისკალური წესები განსაზღვრულია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, რომლითაც 2014 წლიდან საქართველოში მოქმედებს 3 რიცხობრივი ფისკალური წესი (ლიმიტი).

ფისკალური წესი I: ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის (საბიუჯეტო კოდექსის განმარტებით, ბიუჯეტის დეფიციტი წარმოადგენს უარყოფით მთლიან სალდოს) ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს (ეკონომიკური თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2, პუნქტი 1, „ბ“ ქვეპუნქტი).

ფისკალური წესი II: სახელმწიფო ვალის ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს (ეკონომიკური თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი).

ფისკალური წესი III: ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან არ უნდა აღემატებოდეს 30%-ს (ეკონომიკური თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2, პუნქტი 1, „ა“ ქვეპუნქტი).

საყურადღებოა, რომ 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ეკონომიკური თავისუფლების აქტში ცვლილება, რომელიც მიზნად ისახავს ფისკალური წესების დახვეწას. ამ

მიმართულებით, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა 2015 წელს მოამზადა პუბლიკაცია, რომელიც ასახავდა ეკონომიკური თავისუფლების აქტის არსებულ რედაქციასთან დაკავშირებულ საყურადღებო საკითხებს (იხ. [„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონის მიმოხილვა](#)). ამავდროულად, 2018 წლის ივნისში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების ფარგლებში გამოქვეყნდა ფისკალური წესების ჩარჩოს დახვეწის შესახებ მიმოხილვა¹⁴, რომელშიც ასახულ იქნა შემდეგი ძირითადი რეკომენდაციები ამ მიმართულებით (რომლებიც ეხმაურება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ზემოაღნიშნულ პუბლიკაციაში ასახულ საყურადღებო საკითხებს):

- **ხარჯების წესის ცვლილება:** ხარჯების მოცულობა, მშპ-სთან ბმის ნაცვლად, შეიცვალოს მრავალწლიანი ცვალებადი ნომინალური ჭერით საშუალოვადიანი საბიუჯეტო გეგმის(ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის) ფარგლებში.
- **კორექტირების მექანიზმი:** განისაზღვროს მთავრობის ანგარიშვალდებულება ფისკალურ წესებთან შესაბამისობის შესახებ არამართო დაგეგმვის, არამედ ფაქტობრივი შესრულების (ex-post) ეტაპზე, და კორექტირების გეგმის წარდგენის ვალდებულება ფისკალური წესების დარღვევის შემთხვევაში ასევე შესრულების ეტაპზე.
- **დარღვევის მექანიზმის დახვეწა:** გაუქმდეს კრიტერიუმი, რომელიც პარლამენტს უფლებას აძლევს, დაამტკიცოს ფისკალური ზღვრების შეუსაბამო ბიუჯეტი, გარდა კანონითვე განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევისა; ამავდროულად, ჩამოყალიბდეს ეკონომიკური რეცესიის, როგორც გამონაკლისი შემთხვევის, ზუსტი განმარტება და განისაზღვროს გამონაკლის შემთხვევებში დარღვევის მექანიზმის გააქტიურების უფლება და შესაბამისი პროცედურები.
- **ფისკალურ წესებთან შესაბამისობის დამოუკიდებელი ზედამხედველობა:** ფისკალურ წესებთან შესაბამისობის დამოუკიდებელი მონიტორინგის ვალდებულება.
- **ფისკალური წესების პერიოდული გადახედვა:** ფისკალური წესების გადახედვის, და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების, ვალდებულება გარკვეული პერიოდულობით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მიმოხილვაში წარმოდგენილია რეკომენდაციები ფისკალური აგრეგატების დაფარვის(აგრეგირების დონის)/გაზომვისა და სამომავლოდ ფისკალური წესების პრაქტიკაში ეფექტიანი დანერგვის მიმართულებით, საშუალოვადიანი ფისკალური გეგმის(ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით) განსაზღვრული ჭერებისათვის სავალდებულო ხასიათის განსაზღვრა ეტაპობრივად.


2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართული ცვლილებებით წარმოდგენილია შემდეგი ცვლილებები:

- იზრდება ბიუჯეტის დეფიციტის წესის (მშპ-ს 3%) მოცვის დონე, კერძოდ, წესი გავრცელდება არა მხოლოდ ნაერთი ბიუჯეტზე, არამედ სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტზე, რომელიც ნაერთი ბიუჯეტთან ერთად მოიცავს ყველა დონის ბიუჯეტების იმ საბიუჯეტო ორგანიზაციების ოპერაციებსაც, რომლებიც უფლებამოსილი არიან მიიღონ კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები (სსიპები, ა(ა)იპები). აქვე გასათვალისწინებელია, რომ ბიუჯეტის პროექტთან პირველად იქნა წარმოდგენილი სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის პარამეტრები საბაზისო სცენარისათვის. ზემოაღნიშნულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით ბიუჯეტის მთლიანი სალდოს მშპ-სთან ფარდობის დინამიკა წარმოდგენილი დიაგრამაზე #

¹⁴ Technical Assistance Report. “Enhancing Fiscal Rules Framework”. May, 2018. International Monetary Fund. Available at: <https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2018/06/01/Georgia-Technical-Assistance-Report-Enhancing-the-Fiscal-Rules-45911>

- დეტალურად განიმარტება მთავრობის ვალი, რომელიც დაექვემდებარება 60%-იან ლიმიტს და ამ კანონის მიზნებისათვის იგი განისაზღვრება, როგორც სახელმწიფო ვალი, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა, რომელიც მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალს, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან აღებული ვალისა და „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება; მთავრობის ვალის დინამიკა ზემოაღნიშნული კომპონენტების გარეშე წარმოადგენილი დიაგრამაზე #. როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით(საბაზისო სცენარით), 2019 წლისათვის გათვალისწინებულია მთავრობის ვალის დონის მშპ-ს 42.6%-იდან მშპ-ს 42.2%-მდე, ხოლო 2022 წლისათვის - 40.4%-მდე შემცირება. აქვე გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ზემოაღნიშნული ანგარიშში წარმოდგენილი შეფასებით, „უსაფრთხო ვალის“ დონე საქართველოსათვის შესაძლებელია მერყეობდეს 35%-45% ფარგლებში.
- ფისკალური წესების დაცვა სავალდებულო ხდება, როგორც დაგეგმვის ისე შესრულების ეტაპზე და დგინდება ანგარიშგების ვალდებულება ზღვრების დარღვევის შემთხვევაში;
- დეტალურად განისაზღვრება ეკონომიკური ზრდის შენელების/რეცესია, როგორც გამონაკლისი შემთხვევა, როგორც საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით ბოლო ორი კვარტლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის კვარტალთან, რომელიც 2 პროცენტული პუნქტით დაბალია გასული 10 წლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელთან.

თუმცა აქვე გასათვალისწინებელია, რომ კანონპროექტის მე-2 მუხლით დროებით ნორმად განსაზღვრულია: „საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი განათლების სისტემის რეფორმის განხორციელების მიზნით, 2025 წლამდე ერთჯერადად, არაუმეტეს 3 წლის ვადით შესაძლებელია ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი დაიგეგმოს „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულზე უფრო მაღალი საბიუჯეტო დეფიციტით.“



დიაგრამა 13: სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო/მთავრობის ვალი (%-ულად მშპ-სთან). წყარო: ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი.

4. დანართები

დანართი 1.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი აგრეგატები (მლნ ლარი).

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2019 პროექტი / 2018 გეგმა		2019 პროექტი / 2017 ფაქტი	
				სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსავლები	9,750.3	10,314.2	10,281.7	-32.6	0.0	531.3	0.1
გადასახადები	8,991.3	9,490.0	9,565.0	75.0	0.0	573.7	0.1
გრანტები	350.6	414.2	266.7	-147.6	-0.4	-84.0	-0.2
სხვა შემოსავლები	408.4	410.0	450.0	40.0	0.1	41.6	0.1
ხარჯები	9,372.1	9,720.9	9,279.1	-441.8	0.0	-93.0	0.0
შრომის ანაზღაურება	1,385.4	1,413.6	1,473.8	60.2	0.0	88.4	0.1
საქონელი და მომსახურება	1,248.4	1,201.3	1,194.0	-7.3	0.0	-54.5	0.0
პროცენტი	476.6	550.0	624.0	74.0	0.1	147.4	0.3
სუბსიდიები	486.3	445.0	439.0	-6.0	0.0	-47.3	-0.1
გრანტები	1,346.2	1,379.0	454.7	-924.3	-0.7	-891.5	-0.7
სოციალური უზრუნველყოფა	3,324.3	3,492.8	3,773.1	280.3	0.1	448.8	0.1
სხვა ხარჯები	1,105.0	1,239.3	1,320.5	81.3	0.1	215.5	0.2
<i>მ.შ. სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები</i>	157.7	161.7	202.1	40.5	0.3	44.4	0.3
საოპერაციო სალდო	378.2	593.4	1,002.6	409.2	0.7	624.4	1.7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	874.1	1,568.5	2,022.3	453.7	0.3	1,148.1	1.3
ზრდა	971.8	1,628.5	2,082.3	453.7	0.3	1,110.5	1.1
კლება	97.6	60.0	60.0	0.0	0.0	-37.6	-0.4
მთლიანი სალდო	-495.9	-975.2	-1,019.7	-44.5	0.0	-523.8	1.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	640.3	251.5	206.4	-45.1	-0.2	-433.9	-0.7
ზრდა	905.6	350.0	434.5	84.5	0.2	-471.1	-0.5
სესხები	309.7	266.8	434.5	167.7	0.6	124.8	0.4
აქციები და სხვა კაპიტალი	595.9	83.2	0.0	-83.2	-1.0	-595.9	-1.0
კლება	265.3	98.5	228.1	129.5	1.3	-37.2	-0.1
ვალუტა და დეპოზიტები	146.2	18.5	118.1	99.5	5.4	-28.1	-0.2
სესხები	96.1	80.0	110.0	30.0	0.4	13.9	0.1
აქციები და სხვა კაპიტალი	23.0	0.0	0.0	0.0		-23.0	-1.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.004	0.0	0.0	0.0		-0.004	-1.000
ვალდებულებების ცვლილება	1,136.2	1,226.7	1,226.1	-0.5	0.0	89.9	0.1

ზრდა	1,651.6	1,986.8	2,160.0	173.3	0.1	508.4	0.3
საშინაო	399.5	400.0	500.0	100.0	0.3	100.5	0.3
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	399.5	400.0	500.0	100.0	0.3	100.5	0.3
საგარეო	1,252.1	1,586.8	1,660.0	73.3	0.0	407.9	0.3
სესხები	1,252.1	1,586.8	1,660.0	73.3	0.0	407.9	0.3
კლება	515.4	760.1	933.9	173.8	0.2	418.5	0.8
საშინაო	61.3	35.1	40.1	5.0	0.1	-21.3	-0.3
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	35.0	35.0	40.0	5.0	0.1	5.0	0.1
სესხები	2.1	0.1	0.1	0.0	0.0	-2.0	-1.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	24.3	0.0	0.0	0.0			-1.0
საგარეო	454.1	725.0	893.8	168.8	0.2	439.7	1.0
სესხები	427.4	725.0	890.0	165.0	0.2	462.6	1.1
სხვა კრედიტორული დავალიანებები	26.6	0.0	3.8	3.8		-22.8	-0.9

დანართი 2.

ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დინამიკის შესახებ მხარჯავი დაწესებულებების დონეზე (მლნ ლარი).

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2019 წლის პროექტი/2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი/2018 წლის გეგმა %- ულად
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	59,223.50	62,131.00	64,736.00	2,605.00	4.2%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	13,194.60	9,800.00	9,800.00	0.00	0.0%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	331.3	678.00	750	72.00	10.6%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	17,940.40	15,822.00	15,800.00	-22.00	-0.1%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	14,156.80	14,517.20	16,170.80	1,653.60	11.4%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	64,259.70	67,058.20	27,487.10	-39,571.10	-59.0%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4,057.50	4,150.00	4,150.00	0.00	0.0%

08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	7,567.30	8,400.00	9,000.00	600.00	7.1%
09 00	საერთო სასამართლოები	58,951.30	71,150.00	73,000.00	1,850.00	2.6%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2,558.00	3,750.00	3,750.00	0.00	0.0%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	785.2	800	870	70.00	8.8%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	607.9	610	625	15.00	2.5%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	734.8	735	780	45.00	6.1%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	685.9	725	735	10.00	1.4%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	591	595	625	30.00	5.0%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	582.6	585	620	35.00	6.0%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის	525.4	595	610	15.00	2.5%

	ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში					
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	820.5	860	865	5.00	0.6%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	624.5	625	630	5.00	0.8%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	120,414.60	124,000.00	134,000.00	10,000.00	8.1%
21 00	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	65,380.80	82,010.00	87,600.00	5,590.00	6.8%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,834.10	1,600.00	2,850.00	1,250.00	78.1%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	80,745.20	82,300.00	91,000.00	8,700.00	10.6%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	689,428.30	229,550.00	324,750.00	95,200.00	41.5%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1,355,746.40	1,825,200.00	1,965,000.00	139,800.00	7.7%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	209,564.50	177,000.00	184,895.00	7,895.00	4.5%
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,548,393.40	3,623,570.00	3,863,070.00	239,500.00	6.6%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	119,367.00	120,950.00	127,000.00	6,050.00	5.0%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	770,019.60	802,000.00	790,000.00	-12,000.00	-1.5%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	546,148.10	570,220.00	643,500.00	73,280.00	12.9%
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	368,068.70	274,765.00	298,100.00	23,335.00	8.5%

32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1,397,210.70	1,461,270.00	1,485,000.00	23,730.00	1.6%
33 00	საქართველოს პროკურატურა	35,633.00	36,000.00	36,000.00	0.00	0.0%
34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	13,484.40	13,500.00	13,500.00	0.00	0.0%
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,411.80	1,400.00	1,600.00	200.00	14.3%
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	4,882.20	6,380.00	6,400.00	20.00	0.3%
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	6,422.00	5,700.00	6,300.00	600.00	10.5%
38 00	სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	1,807.90	2,150.00	2,150.00	0.00	0.0%
39 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	254.6	260	260	0.00	0.0%
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	55,273.80	55,500.00	55,500.00	0.00	0.0%
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	6,423.70	5,500.00	6,400.00	900.00	16.4%
42 00	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი	46,572.80	52,522.00	58,500.00	5,978.00	11.4%
43 00	სსიპ - კონკურენციის სააგენტო	1,816.00	2,100.00	2,200.00	100.00	4.8%
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	2,454.90	2,460.00	2,460.00	0.00	0.0%
45 00	საქართველოს საპატრიარქო	24,997.90	25,000.00	25,000.00	0.00	0.0%
46 00	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	2,500.00	4,200.00	4,200.00	0.00	0.0%
47 00	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი	7,772.00	8,500.00	9,500.00	1,000.00	11.8%
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	3,802.30	4,000.00	4,000.00	0.00	0.0%
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	996.2	1,000.00	1,120.00	120.00	12.0%
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5,222.60	5,330.00	5,330.00	0.00	0.0%
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	1,838.10	2,000.00	2,000.00	0.00	0.0%
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	3	500	500	0.00	0.0%

53 00	კერძო და საჯარო თანამშრომლობის ორგანო	0	500	500	0.00	0.0%
54 00	სსიპ - საპენსიო სააგენტო	0	0	1,000.00	1,000.00	0.0%
55 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	2,016,795.00	2,585,176.70	2,257,511.10	-327,665.60	-12.7%
56 00	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	1,892.50	1,800.00	0	-1,800.00	-100.0%
57 00	სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო	87.3	0	0	0.00	0.0%
58 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1,164.20	0	0	0.00	0.0%
59 00	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	197.3	0	0	0.00	0.0%
60 00	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - "საქპატენტი"	108.3	0	0	0.00	0.0%
61 00	სსიპ - ტექნოლოგიური ინსტიტუტი	502.1	0	0	0.00	0.0%

დანართი 3.

ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დინამიკის პროგრამების მიხედვით (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2019 წლის პროექტი/2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი/2018 წლის გეგმა %-ულად
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	51,248.40	52,091.00	54,696.00	2,605.00	5.0%
01 02	საზიხლოთეო საქმიანობა	7,525.50	9,590.00	9,590.00	0.00	0.0%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	449.7	450	450	0.00	0.0%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	13,194.60	9,800.00	9,800.00	0.00	0.0%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	331.3	678.00	750	72.00	10.6%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	17,940.40	15,822.00	15,800.00	-22.00	-0.1%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	14,156.80	14,517.20	16,170.80	1,653.60	11.4%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	11,091.30	11,250.00	11,998.90	748.90	6.7%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	935.1	1,170.00	1,179.50	9.50	0.8%

06 03	პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	14,236.40	14,535.00	14,308.70	-226.30	-1.6%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	37,997.00	40,103.20	0	-40,103.20	-100.0%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4,057.50	4,150.00	4,150.00	0.00	0.0%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	7,567.30	8,400.00	9,000.00	600.00	7.1%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	57,426.10	69,530.00	71,380.00	1,850.00	2.7%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	1,525.20	1,620.00	1,620.00	0.00	0.0%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2,558.00	3,750.00	3,750.00	0.00	0.0%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	785.2	800	870	70.00	8.8%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	607.9	610	625	15.00	2.5%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	734.8	735	780	45.00	6.1%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	685.9	725	735	10.00	1.4%

15 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	591	595	625	30.00	5.0%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	582.6	585	620	35.00	6.0%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ზორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	525.4	595	610	15.00	2.5%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	820.5	860	865	5.00	0.6%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	624.5	625	630	5.00	0.8%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	109,611.80	109,075.00	117,920.00	8,845.00	8.1%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	10,802.80	14,925.00	16,080.00	1,155.00	7.7%
21 00	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	65,380.80	82,010.00	87,600.00	5,590.00	6.8%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,834.10	1,600.00	2,850.00	1,250.00	78.1%
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	18,846.10	20,275.00	22,120.00	1,845.00	9.1%
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	32,957.30	33,800.00	37,600.00	3,800.00	11.2%
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	17,587.00	18,430.00	21,485.00	3,055.00	16.6%
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	9,647.80	7,900.00	7,900.00	0.00	0.0%

23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	940.9	895	895	0.00	0.0%
23 06	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	766.1	1,000.00	1,000.00	0.00	0.0%
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	28,330.10	21,455.00	21,430.00	-25.00	-0.1%
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	1,069.50	1,210.00	1,900.00	690.00	57.0%
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	805.4	845	850	5.00	0.6%
24 04	აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება	140	140	140	0.00	0.0%
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	51,137.10	52,115.00	51,940.00	-175.00	-0.3%
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	292,228.20	7,825.00	28,750.00	20,925.00	267.4%
24 07	მეწარმეობის განვითარება	39,348.40	41,680.00	38,940.00	-2,740.00	-6.6%
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	6,050.10	5,020.00	4,820.00	-200.00	-4.0%
24 09	ნავთობის და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა	568.4	580	580	0.00	0.0%
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	4,659.00	6,000.00	11,000.00	5,000.00	83.3%
24 11	ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	6,668.60	8,000.00	8,000.00	0.00	0.0%
24 12	საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (IBRD)	988.5	10,000.00	10,000.00	0.00	0.0%
24 13	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EU)	11,438.40	21,600.00	25,000.00	3,400.00	15.7%
24 14	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	112,414.20	52,700.00	86,900.00	34,200.00	64.9%
24 15	მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება	72,446.60	0	30,000.00	30,000.00	

24 16	საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა	599.1	380	400	20.00	5.3%
24 17	ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია	48.5	0	300	300.00	0.0%
24 18	ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები	0	0	3,800.00	3,800.00	0.0%
24 19	ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისათვის ანაკლიის ტერიტორიაზე (სამოქმედო გეგმის ფარგლებში) კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა - კომპენსაცია	60,000.00	0	0	0.00	0.0%
24 20	საქართველოს ელექტროენერგეტიკის ბაზრის ახალი კონცეფციის შემუშავება (EBRD)	488.3	0	0	0.00	0.0%
25 01	რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	5,228.70	8,680.00	16,900.00	8,220.00	94.7%
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	873,826.20	1,310,820.00	1,377,050.00	66,230.00	5.1%
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	249,698.30	298,700.00	254,050.00	-44,650.00	-14.9%
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	184,304.80	196,000.00	225,500.00	29,500.00	15.1%
25 05	მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა	42,606.00	11,000.00	41,500.00	30,500.00	277.3%
25 06	იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	82.4	0	50,000.00	50,000.00	0.0%
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ	43,242.70	7,485.00	8,390.00	905.00	12.1%

	შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება					
26 02	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	135,655.20	143,600.00	150,340.00	6,740.00	4.7%
26 03	ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	7,194.40	7,450.00	7,450.00	0.00	0.0%
26 04	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებული პირების გადამზადება	2,818.90	2,885.00	2,795.00	-90.00	-3.1%
26 05	ელექტრონული მმართველობის განვითარება	2,509.80	2,135.00	2,435.00	300.00	14.1%
26 06	დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია	7,397.40	6,685.00	6,685.00	0.00	0.0%
26 07	იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	3,866.30	4,170.00	4,700.00	530.00	12.7%
26 08	მიწის ბაზრის განვითარება (WB)	1,732.30	2,000.00	2,100.00	100.00	5.0%
26 09	ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება	649.5	590	0	-590.00	-100.0%
26 10	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	3,935.90	0	0	0.00	0.0%
26 12	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	562.1	0	0	0.00	0.0%
27 01	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	69,469.80	55,515.00	58,175.00	2,660.00	4.8%
27 02	მოსახლეობის სოციალური დაცვა	2,400,747.40	2,468,300.00	2,684,190.00	215,890.00	8.7%
27 03	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	964,119.60	983,370.00	1,048,565.00	65,195.00	6.6%

27 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	20,639.70	25,000.00	20,000.00	-5,000.00	-20.0%
27 05	შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	2,455.60	3,700.00	4,290.00	590.00	15.9%
27 06	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა	90,961.50	87,685.00	47,850.00	-39,835.00	-45.4%
28 01	საგარეო პოლიტიკის განხორციელება	118,271.40	119,915.00	125,600.00	5,685.00	4.7%
28 02	მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში	316.6	385	545	160.00	41.6%
28 03	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება	779	650	855	205.00	31.5%
29 01	თავდაცვის მართვა	452,187.00	312,237.00	314,750.00	2,513.00	0.8%
29 02	პროფესიული სამხედრო განათლება	38,561.30	43,452.00	44,365.00	913.00	2.1%
29 03	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	51,919.90	54,600.00	52,950.00	-1,650.00	-3.0%
29 04	მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები	8,431.80	9,540.00	9,540.00	0.00	0.0%
29 05	ინფრასტრუქტურის განვითარება	38,593.30	21,000.00	20,325.00	-675.00	-3.2%
29 06	საერთაშორისო სამშვიდობო მისიები	38,422.50	40,445.00	44,305.00	3,860.00	9.5%
29 07	სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება	40,541.50	28,322.00	29,030.00	708.00	2.5%
29 08	თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნება/განვითარება	0	128,245.00	125,000.00	-3,245.00	-2.5%
29 09	ლოგისტიკური უზრუნველყოფა	2,282.90	142,159.00	149,735.00	7,576.00	5.3%
29 10	საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG)	99,079.50	22,000.00	0	-22,000.00	-100.0%
30 01	საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გადრმავება	437,710.80	550,240.00	527,540.00	-22,700.00	-4.1%
30 02	სახელმწიფო საზღვრის დაცვა	87,033.30	0	94,900.00	94,900.00	0.0%
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), დიპლომატიური	9,481.20	10,160.00	10,160.00	0.00	0.0%

	წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების ღონის ამაღლება					
30 04	სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება	6,754.40	6,170.00	6,800.00	630.00	10.2%
30 05	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	5,168.50	3,650.00	4,100.00	450.00	12.3%
31 01	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	17,006.30	18,361.00	17,890.00	-471.00	-2.6%
31 02	სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედობა	56,752.00	35,910.00	58,095.00	22,185.00	61.8%
31 03	მევენახეობა-მელვინეობის განვითარება	24,357.70	25,060.00	11,050.00	-14,010.00	-55.9%
31 04	სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება	5,038.00	5,150.00	4,895.00	-255.00	-5.0%
31 05	ერთიანი აგროპროექტი	115,613.70	82,170.00	89,600.00	7,430.00	9.0%
31 06	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები	8,948.60	7,750.00	4,500.00	-3,250.00	-41.9%
31 07	სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა	106,518.00	61,680.00	76,700.00	15,020.00	24.4%
31 08	გარემოსდაცვითი ზედამხედველობა	10,050.10	10,891.00	11,300.00	409.00	3.8%
31 09	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	11,710.10	14,643.00	10,835.00	-3,808.00	-26.0%
31 10	სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	8,452.20	10,445.00	10,000.00	-445.00	-4.3%
31 11	ეროვნული საშენი მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	531	820	620	-200.00	-24.4%
31 12	გარემოსდაცვითი ინფორმაციის	1,928.30	985	1,715.00	730.00	74.1%

	ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა					
31 13	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა	904.3	900	900	0.00	0.0%
31 14	გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია	258.5	0	0	0.00	0.0%
32 01	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	55,727.10	38,990.00	35,159.00	-3,831.00	-9.8%
32 02	სკოლამდელი და ზოგადი განათლება	660,908.90	702,605.00	738,646.00	36,041.00	5.1%
32 03	პროფესიული განათლება	31,574.80	41,355.00	48,690.00	7,335.00	17.7%
32 04	უმაღლესი განათლება	135,865.50	148,505.00	168,760.00	20,255.00	13.6%
32 05	მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	61,421.60	65,600.00	65,470.00	-130.00	-0.2%
32 06	ინკლუზიური განათლება	4,785.40	5,135.00	17,710.00	12,575.00	244.9%
32 07	ინფრასტრუქტურის განვითარება	133,001.50	91,204.00	138,714.00	47,510.00	52.1%
32 08	ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები	3,903.20	4,200.00	5,400.00	1,200.00	28.6%
32 09	სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა	6,413.30	6,670.00	6,670.00	0.00	0.0%
32 10	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	66,555.70	81,310.00	63,602.00	-17,708.00	-21.8%
32 11	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	18,998.60	22,001.00	21,064.00	-937.00	-4.3%
32 12	მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია	104,709.80	124,600.00	109,200.00	-15,400.00	-12.4%
32 13	კულტურისა და სპორტის მოდერნიზაცია სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებები	7,558.70	7,560.00	20,570.00	13,010.00	172.1%
32 14	ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - მეორე პროექტი	100,898.30	101,235.00	45,345.00	-55,890.00	-55.2%
32 15	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის ჩამოყალიბების პროექტი (Unicredit Bank)	4,888.30	20,300.00	0	-20,300.00	-100.0%
33 00	საქართველოს პროკურატურა	35,633.00	36,000.00	36,000.00	0.00	0.0%

34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	13,484.40	13,500.00	13,500.00	0.00	0.0%
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,411.80	1,400.00	1,600.00	200.00	14.3%
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	4,882.20	6,380.00	6,400.00	20.00	0.3%
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	6,422.00	5,700.00	6,300.00	600.00	10.5%
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	1,807.90	2,150.00	2,150.00	0.00	0.0%
39 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	254.6	260	260	0.00	0.0%
40 01	დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	47,454.20	48,000.00	48,000.00	0.00	0.0%
40 02	სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა	7,819.70	7,500.00	7,500.00	0.00	0.0%
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	6,423.70	5,500.00	6,400.00	900.00	16.4%
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	46,572.80	52,522.00	58,500.00	5,978.00	11.4%
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	1,816.00	2,100.00	2,200.00	100.00	4.8%
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	2,454.90	2,460.00	2,460.00	0.00	0.0%
45 01	სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი	14,681.00	14,683.00	14,738.00	55.00	0.4%
45 02	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	645	295	645	350.00	118.6%
45 03	ა(ა)იპ – ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	1,768.00	1,768.00	1,768.00	0.00	0.0%
45 04	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ეპარქიის წმიდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატი	959	959	685	-274.00	-28.6%
45 05	საქართველოს საპატრიარქოს ბათუმის წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანისათვის გადასაცემი გრანტი	261	261	261	0.00	0.0%

45 06	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	437	447	870	423.00	94.6%
45 07	წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	230	230	230	0.00	0.0%
45 08	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	2,000.00	2,000.00	1,945.00	-55.00	-2.8%
45 09	საქართველოს საპატრიარქოს ა(ა)იპ – ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	1,964.00	2,304.00	1,805.00	-499.00	-21.7%
45 10	ა(ა)იპ – სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციის და ადაპტაციის ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	100	100	100	0.00	0.0%
45 11	საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებები	800	800	800	0.00	0.0%
45 12	ა(ა)იპ – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრისთვის გადასაცემი გრანტი	500	500	500	0.00	0.0%
45 13	ა(ა)იპ ფოთის საგანმანათლებლო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი	653	653	653	0.00	0.0%
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	2,500.00	4,200.00	4,200.00	0.00	0.0%
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	4,298.90	5,000.00	5,500.00	500.00	10.0%
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	3,331.40	3,500.00	4,000.00	500.00	14.3%
47 03	მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	141.6	0	0	0.00	0.0%
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	3,802.30	4,000.00	4,000.00	0.00	0.0%
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	996.2	1,000.00	1,120.00	120.00	12.0%

50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5,222.60	5,330.00	5,330.00	0.00	0.0%
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	1,838.10	2,000.00	2,000.00	0.00	0.0%
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	3	500	500	0.00	0.0%
53 00	კერძო და საჯარო თანამშრომლობის ორგანო	0	500	500	0.00	0.0%
54 00	სსიპ - საპენსიო სააგენტო	0	0	1,000.00	1,000.00	0.0%
55 01	საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	664,910.90	1,015,000.00	1,230,000.00	215,000.00	21.2%
55 02	საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	274,075.10	295,000.00	324,000.00	29,000.00	9.8%
55 03	საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები	8,324.40	17,000.00	9,600.00	-7,400.00	-43.5%
55 04	ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	941,967.40	768,000.00	28,700.00	-739,300.00	-96.3%
55 05	საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	0	5,000.00	5,000.00	0.00	0.0%
55 06	საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	0	50,000.00	50,000.00	0.00	0.0%
55 07	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	6,690.50	20,000.00	20,000.00	0.00	0.0%
55 08	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	0	260,000.00	280,000.00	20,000.00	7.7%
55 09	მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0	20,000.00	20,000.00	0.00	0.0%
55 10	საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა	51.2	200	200	0.00	0.0%
55 11	საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საოპერაციო ხარჯებისა და სხვა ვალდებულებების თანადაფინანსება	598.5	757	670	-87.00	-11.5%
55 12	დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება	0	80,000.00	90,000.00	10,000.00	12.5%

55 13	დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები	104,450.10	54,219.70	199,341.10	145,121.40	267.7%
55 14	ფიზიკურ პირებზე უცხოურ ვალუტაში გაცემული საბანკო სესხების ეროვნულ ვალუტაში კონვერტირების ხელშეწყობის ღონისძიებები	15,726.90	0	0	0.00	0.0%
56 00	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	1,892.50	1,800.00	0	-1,800.00	-100.0%
57 00	სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო	87.3	0	0	0.00	0.0%
58 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1,164.20	0	0	0.00	0.0%
59 00	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	197.3	0	0	0.00	0.0%
60 00	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - "საქპატენტი"	108.3	0	0	0.00	0.0%
61 00	სსიპ - ტექნოლოგიური ინსტიტუტი	502.1	0	0	0.00	0.0%

დანართი 4.

გათანაბრებითი სატრანსფერო მექანიზმი

1. ზოგადი მიმოხილვა

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების გათანაბრებითი სატრანსფერო მექანიზმის შემუშავება, იქნება ეს არსებული სატრანსფერო სქემის გაუმჯობესება/დახვეწა თუ სრულებით ახალი სქემის დანერგვა, განიხილება როგორც ფისკალური დეცენტრალიზაციის და, შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საჯარო ფინანსების მართვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ელემენტად. მართალია, როგორც მოწინავე ისე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების გათანაბრებითი სატრანსფერო სქემა ერთსადაიმთავრე ძირითად პრინციპებს ემყარება, თუმცა გარდამავალი ქვეყნებისთვის ეფექტიანი სატრანსფერო მექანიზმის შემუშავებისას კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობა.

გათანაბრებითი სატრანსფერო მექანიზმის დანერგვის უპირველეს ეტაპს გათანაბრების დასაშვები დონის განსაზღვრა წარმოადგენს, გათანაბრებისა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებული სავარაუდო კომპრომისის (trade-off) გათვალისწინებით. მართალია, ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო პრაქტიკა არაერთაზროვანია, თუმცა ცალკეული კვლევები ცხადყოფს, რომ რესურსების უფრო ეფექტიანი რეგიონიდან ნაკლებად ეფექტიან რეგიონზე გადანაწილება გარკვეულწილად აფერხებს ეკონომიკურ ზრდას. რეგიონებს შორის ეკონომიკური და ფისკალური უთანასწორობის გათვალისწინებით, გათანაბრების მაღალმა დონემ შესაძლებელია შეუზღუდოს რესურსები სწრაფად მზარდ რეგიონს. ამასთან, გათანაბრების მაღალმა დონემ შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს თვითმმართველი ერთეულების საგადასახადო ადმინისტრირების ხარისხზე. შესაბამისად, როდესაც ქვეყანა წყვეტს დანერგოს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულთა გათანაბრების სატრანსფერო მექანიზმი, მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს გათანაბრებითი ტრანსფერის/გრანტის მიზანი, მოცულობა და მისი ეფექტიანობის შეფასების მეთოდები.

როგორც წესი, გათანაბრებითი ტრანსფერების/გრანტების ძირითად მიზანს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს შორის ფისკალური უთანასწორობის შემცირება ან/და სრულად აღმოფხვრა წარმოადგენს. თვითმმართველ ერთეულებს შორის ფისკალური უთანასწორობა შესაძლებელია ორი ძირითადი მიზეზით არსებობდეს:

1. განსხვავებული ფისკალური ქმედუნარიანობა (fiscal capacity), რაც უკავშირდება თვითმმართველი ერთეულის ეკონომიკურ მდგომარეობასა და, გამომდინარე აქედან, საკუთარი შემოსავლების მობილიზების უნარს.
2. თვითმმართველი ერთეულის რესურსების განსხვავებული საჭიროება (expenditure needs). იმ შემთხვევაშიც კი, თუ თვითმმართველი ერთეულები მსგავსი ფისკალური ქმედუნარიანობით ხასიათდებიან, მათი საჯარო მომსახურების (public service) ხარჯი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს, ვინაიდან თვითმმართველი ერთეულის მიერ გაწეული მომსახურების ტიპი და რაოდენობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რეგიონის სპეციფიკურ მახასიათებლებზე, ისეთებზე როგორებიც არის დემოგრაფიული მდგომარეობა, გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატი, სიღარიბე, უმუშევრობისა და დასაქმების დონე და სხვა ფაქტორები.

თვითმმართველი ერთეულის ფისკალურ ქმედუნარიანობასა და რესურსების საჭიროებას შორის სხვაობას კი ფისკალური ქმედუნარიანობის გაპს (fiscal capacity gap) უწოდებენ.

გათანაბრებითი ტრანსფერის/გრანტის განსაზღვრისას გამოიყენება 3 ძირითადი მექანიზმი:

1. თვითმმართველ ერთეულების ფისკალურ ქმედუნარიანობის შეფასებაზე მორგებული ფორმულა
2. თვითმმართველ ერთეულების რესურსების საჭიროების შეფასებაზე მორგებული ფორმულა
3. ფისკალური ქმედუნარიანობის გაპსის შეფასებაზე მორგებული ფორმულა.

საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით ეს უკანასკნელი მიიჩნევა გათანაბრებითი ტრანსფერის/გრანტის განსაზღვრის ყველაზე ეფექტიან მექანიზმად, ვინაიდან იგი ითვალისწინებს როგორც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთარი შემოსავლების მობილიზების უნარს, ისე რესურსების საჭიროების შეფასებას. თუმცა ფისკალური ქმედუნარიანობის გაპზე მორგებული გათანაბრების ფორმულის ეფექტიანობა მნიშვნელოვან წილად არის დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად სწორად არის შეფასებული თვითმმართველი ერთეულის თითოეული ზემოაღნიშნული კომპონენტი.

ფისკალური ქმედუნარიანობის შეფასებასთან დაკავშირებით, არსებული საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ქვეყნის ფისკალური დეცენტრალიზაციის განსხვავებული მახასიათებლებისა და სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, არსებობს ფისკალური ქმედუნარიანობის შეფასების განსხვავებული მეთოდები. ამასთან, სწორედ სტატისტიკურ მონაცემთა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გამომწვევებიდან გამომდინარე, გარდამავალი ქვეყნების უმრავლესობა (მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები) ფისკალური ქმედუნარიანობის შეფასებისას ეყრდნობა საკუთარი შემოსავლების ფაქტობრივ მაჩვენებლებს, რაც, როგორც წესი, არ მიიჩნევა ეფექტურ საზომად. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ორ თვითმმართველ ერთეულს საკუთარი შემოსავლების მობილიზების მსგავსი უნარი გააჩნდეს, მათი საკუთარი შემოსავლების ფაქტობრივი მაჩვენებლები შესაძლებელია მაინც განსხვავებული იყოს, მუნიციპალური გადასახადების განსხვავებული განაკვეთისა ან/და საგადასახადო ადმინისტრირების განსხვავებული ხარისხის გათვალისწინებით. მეტიც, გათანაბრებითი ტრანსფერის/გრანტის გამოსათვლელ ფორმულაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთარი შემოსავლების ფაქტობრივი მაჩვენებლების გათვალისწინება მოსალოდნელია, გარკვეულწილად, ასტიმულირებდეს კიდევ ნაკლებეფექტიან საგადასახადო ადმინისტრირებას. საერთაშორისო უკეთესი პრაქტიკის შესაბამისად, ფისკალური ქმედუნარიანობის შეფასება ხდება საგადასახადო ბაზის ან/და ერთ სულ მოსახლეზე დასაბეგრი შემოსავლის ოდენობის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობითი საშემოსავლო სისტემა (Representative Revenue System), რომელიც განსხვავებით ფისკალური ქმედუნარიანობის შეფასების ერთ-მიმართულებიანი (one-dimensional) ანალიზისგან, უფრო კომპლექსური მეთოდია, ითვალისწინებს რა, როგორც დასაბეგრი შემოსავლების ოდენობისა და წყაროს, ისე საგადასახადო განაკვეთისა და ადმინისტრირების ანალიზს.

განსხვავებულია ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების რესურსების საჭიროების შეფასების მეთოდებიც. თუმცა, განურჩევლად შეფასების მეთოდისა, რესურსების საჭიროების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მაქსიმალურად მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებებისა და პრიორიტეტული მიმართულებების, ისევე როგორც რესურსების მთლიანი მოცულობის გათვალისწინება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯების და შესაბამისად,

გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობის, არარეალისტური (ხშირ შემთხვევაში კი გადაჭარბებით) დაგეგმვა.

ამ კუთხით აღსანიშნავია, თვითმმართველი ერთეულების რესურსების საჭიროების ე.წ ზემოდან-ქვემოთ (Top-down) ანალიზი. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც მრავალ მოწინავე ისე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში. ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მაგალითად შესაძლებელი განხილულ იქნას გაერთიანებული სამეფო (SSA შეფასების მექანიზმი). რესურსების ზემოდან-ქვემოთ დაგეგმვა გულისხმობს, რომ პირველ რიგში ხდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი საპროგნოზო მოცულობის განსაზღვრა. აღნიშნული მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთარი რესურსით გაწეულ დანახარჯებსა და ფონდებიდან მიღებულ დაფინანსებას. მეორე ეტაპზე ხდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის ფონდებიდან გადასაცემი დაფინანსების საპროგნოზო მოცულობის განსაზღვრა. ხოლო ხარჯების მთლიან მოცულობასა და ფონდებიდან მიღებულ დაფინანსებას შორის სხვაობით განისაზღვრება საჭირო რესურსების მთლიანი მოცულობა. სწორედ აღნიშნულიდან მოცულობიდან ხდება თითოეულ თვითმმართველი ერთეულის რესურსების საჭიროების განსაზღვრა შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის დემოგრაფიული, სოციალური, გეოგრაფიული და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.

2. გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების მექანიზმი - საქართველო

საქართველოსთვის საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად (თავი XI, მუხლი 71), ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი გათანაბრებითი ტრანსფერის მიზანია თვითმმართველი ერთეულების საკუთარი უფლებამოსილებათა განხორციელებისთვის ფინანსური რესურსების გათანაბრება. ამასთან, საერთაშორისო უკეთესი პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოსთვის გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშება ხდება ფორმულაზე დაყრდნობით. **კერძოდ, ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამსა და საკუთარ შემოსავლებს (გრანტების ამორციხვით) შორის სხვაობით ($T = E - R$)¹⁵.**

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამის (რესურსების საჭიროება) შეფასება ხდება სტატისტიკურ-გათანაბრებითი კოეფიციენტისა და რესურსების მთლიანი მოცულობის (resource pool) გათვალისწინებით. ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთარი შემოსავლები (ფისკალური ქმედუნარიანობა) განისაზღვრება მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული სამი წლის ფაქტობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით.

არსებული საკანონმდებლო გარემოს შესაბამისად, გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობის გამოსათვლელად პირველ ეტაპზე დგინდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამური მოცულობა¹⁶. ამისათვის გამოითვლება რესურსების მთლიანი მოცულობა - რაც თვითმმართველი ქალაქების შემთხვევაში წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობის 69%, ხოლო მუნიციპალიტეტების შემთხვევაში 31%. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობა არ უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მოცულობის 4%-ზე

¹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #904 გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, დანართი #1.

¹⁶ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, თავი XI, მუხლი 73, პუნქტი 2.

ნაკლები და მისი ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების რესურსების საჭიროების დასადგენად ასევე გამოითვლება თვითმმართველი ერთეულების სტატისტიკურ-გათანაბრებითი კოეფიციენტის (K_i) ხვედრითი წილი სტატისტიკურ-გათანაბრებითი კოეფიციენტების ჯამურ მოცულობაში - S_i . მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ხვედრითი წილის ქალაქებისა და მუნიციპალიტეტებისთვის გამიჯნულად გაიანგარიშება.

რაც შეეხება უშუალოდ თვითმმართველი ერთეულის სტატისტიკურ-გათანაბრებით კოეფიციენტს, იგი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$K_i = A_i * EC_i = A_i * (ST_i + ES_i) = A_i * (ST_i + AE_i + ESR_i) = A_i * \left(ST_i + ESR_i + \frac{A_{საშუალო}}{A_i} * \frac{1}{1000} \right)$$

ფორმულის გამარტივების შედეგად ვლინდება, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სტატისტიკურ-გათანაბრებითი კოეფიციენტი გამოითვლება თვითმმართველი ერთეულის სტატუსისა და შემოსავლების გათვალისწინებით დაკორექტირებული სტატისტიკური ინდექსისა და შემასწორებელი კოეფიციენტის ჯამით:

$$K_i = A_i * (ST_i + ESR_i) + \frac{A_{საშუალო}}{1000}$$

შესაბამისად, ფორმულა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- **სტატისტიკური ინდექსი A_i** - გამოითვლება თვითმმართველი ერთეულის 6 მახასიათებლის გათვალისწინებით¹⁷:
 1. მოსახლეობის რაოდენობა
 2. მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტი
 3. მოსახლეობის რაოდენობა, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი (სარეიტინგო ქულა) ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე
 4. 6-წლამდე ბავშვთა რაოდენობა
 5. 6-დან 18 წლამდე მოზარდების რაოდენობა
 6. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე
- **სტატუსის კოეფიციენტი (ST_i)** - ამ შემთხვევაში ჯამდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის, დედაქალაქის, მაღალმთიანობის, ოკუპირებული ტერიტორიისა და დროებით მხარდაჭერის კოეფიციენტები. დედაქალაქის სტატუსი ენიჭება თბილისსა და ბათუმს და შესაბამისი კოეფიციენტი უტოლდება 2.8 ქულას. მაღალმთიანობის სტატუსი ენიჭება კანონმდებლობით განსაზღვრულ¹⁸ შესაბამის თვითმმართველ ერთეულებს და კოეფიციენტი უტოლდება 0.1 ქულას. ოკუპირებული ტერიტორიის სტატუსი ენიჭება აჭარის, ერედვის, ქურთის, თიღვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებს და შესაბამისი კოეფიციენტი უტოლდება 1.5-ს. ხოლო დროებითი მხარდაჭერის სტატუსით დამატებითი ქულა - 2017 წლისათვის 0.1, ენიჭება იმ თვითმმართველ ქალაქებს, რომლებიც არსებობდნენ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად

¹⁷ აჭარის, ერედვის, ქურთის, თიღვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებისათვის გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების დროს გამოიყენება ყველა აღნიშნული სტატისტიკური მონაცემი გარდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძისა და მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტისა.

¹⁸ საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“, აღნიშნული კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა

გამოცხადების დრემდე. ამასთან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სტატუსი ენიჭება ყველა ქალაქსა და მუნიციპალიტეტს და კოეფიციენტი უტოლდება 1 ქულას. შესაბამისად ჯამურად სტატუსის კოეფიციენტის მოცულობა მერყეობს 1-დან 3.9 ქულამდე ინტერვალში.

- **გათანაბრებითი კოეფიციენტი (ESR_i) შემოსავლების გათვალისწინებით** - გაიანგარიშება, როგორც მხარდაჭერის კოეფიციენტების ჯამი, რომლებიც თვითმმართველ ერთეულების ენიჭება დადგენილი წესით. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების პროგნოზი ერთ სულ მოსახლეზე ნაკლებია ყველა მუნიციპალიტეტის საშუალო მაჩვენებელზე, მაშინ აღნიშნულ თვითმმართველ ერთეულს ენიჭება მხარდაჭერის კოეფიციენტი 0.015 ქულის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების პროგნოზი ერთ სულ მოსახლეზე მეტია ყველა მუნიციპალიტეტის საშუალო მაჩვენებელზე, თუმცა ნაკლებია თვითმმართველი ერთეულების (ყველა მუნიციპალიტეტი გარდა ქალაქებისა) ყველა საშუალო მაჩვენებელზე, მაშინ აღნიშნულ თვითმმართველ ერთეულს ენიჭება მხარდაჭერის კოეფიციენტი 0.010 ქულის ოდენობით. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების პროგნოზი ერთ სულ მოსახლეზე მეტია თვითმმართველი ერთეულების (ყველა მუნიციპალიტეტი, გარდა ქალაქებისა) საშუალო მაჩვენებელზე, თუმცა ნაკლებია თვითმმართველი ქალაქების საშუალო მაჩვენებელზე, მაშინ აღნიშნულ თვითმმართველ ერთეულს ენიჭება მხარდაჭერის კოეფიციენტი 0.005 ქულის ოდენობით. იმ შემთხვევაში კი, თუ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების პროგნოზი ერთ სულ მოსახლეზე მეტია თვითმმართველი ქალაქების საშუალო მაჩვენებელზე, მას არ ენიჭება მხარდაჭერის კოეფიციენტი. შესაბამისად მხარდაჭერის კოეფიციენტი მოცულობა მერყეობს 0-დან 0.015 ქულამდე ინტერვალში.
- **საშუალო გათანაბრებისა და შემასწორებელი კოეფიციენტი ($A_{\text{საშუალო}}/1000$)** - რაც შეეხება შემასწორებელ ფორმულას, ამ შემთხვევაში გაიანგარიშება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სტატისტიკური კოეფიციენტის (A_i) საშუალო არითმეტიკული (კვლავაც ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გამიჯვნით) და ეფარდება შემასწორებელ კოეფიციენტს, რომელიც განისაზღვრება 1000-ის ოდენობით.

გათანაბრებითი ტრანსფერის გასაანგარიშებელი ფორმულის ანალიზისას ვლინდება შემდეგი საყურადღებო საკითხები:

- **ფისკალური ქმედუნარიანობის შეფასება (R_i)** - გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების არსებული ინსტრუქციით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მოსალოდნელი საკუთარი შემოსავლები (გრანტების ამორიცხვით) ფასდება მიმდინარე წლის პროგნოზსა და გასული 3 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების ტენდენციის მიხედვით, ანუ გასული პერიოდის შემოსავლების ფაქტობრივ დინამიკაზე, და არა დასაბეგრ ბაზაზე დაყრდნობით.
- **სტატისტიკური ინდექსი (A_i)** - საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მაშინ როდესაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების რესურსების საჭიროება ფასდება მათი სხვადასხვა მახასიათებლის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია აღნიშნული მახასიათებლები შეირჩეს თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებებისა და პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით.
- **სტატუსის კოეფიციენტი (ST_i)** - სტატისტიკური ინდექსის დაკორექტირება სტატუსის კოეფიციენტის გათვალისწინებით შეიძლება მისაღები იყოს გამომდინარე იქიდან, რომ განსხვავებული სტატუსის მქონე თვითმმართველი ერთეულებს მოსალოდნელია ჰქონდეს რესურსების განსხვავებული საჭიროება. მსგავსი ტიპის კოეფიციენტების მინიჭება უნდა

ეყრდნობოდა განსხვავებული სტატუსის მქონე თვითმმართველი ერთეულებისათვის რესურსების საჭიროების სხვაობების რაოდენობრივ შეფასებას (მაგ. რეგრესიული ანალიზი).

- **გათანაბრებითი კოეფიციენტი შემოსავლების გათვალისწინებით (ESR_i)** - არსებული ინსტრუქციით, გარდა სტატუსის კოეფიციენტისა, სტატისტიკური ინდექსის დაკორექტირება ხდება ერთ სულ მოსახლეზე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით, რომლის ეკონომიკური შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს ტრანსფერის კორექტირება სხვა მუნიციპალიტეტთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე ფისკალური ქმედუნარიანობის მიხედვით. თუმცა რამდენადაც ტრანსფერის ფორმულა ითვალისწინებს თვითმმართველი ერთეულის საკუთარ შემოსავლებს, ასევე მოსახლეობის რაოდენობას, ისე სიღარიბის დონეს, ინდექსი შინარსობრივად უკვე ასახავს მუნიციპალიტეტების ფისკალურ ქმედუნარიანობაში განსხვავებებს.
- **საშუალო გათანაბრებისა და შემასწორებელი კოეფიციენტი ($A_{საშუალო}/1000$)** - რამდენადაც ფორმულის ამოსავალი წერტილი ისედაც სტატისტიკური ინდექსია (A_i), არ ვლინდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების რესურსების საჭიროების (ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ჯამი) დასადგენი კოეფიციენტისათვის შემასწორებელი კომპონენტის, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი სტატისტიკური ინდექსის საშუალოს (ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გამიჯვნივ/1000), საჭიროება.

დეტალურად გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ეტაპები და არსებული ფორმულა წარმოდგენილია დიაგრამებზე #1 და #2.

ეტაპი 1: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საჭირო რესურსების დონის (expenditure needs) განსაზღვრა - E ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი, რომლის გამოსათვლელადაც გამოიყენება სტატისტიკურ-გათანაბრებითი კოეფიციენტის ხვედრით წილი სტატისტიკურ-გათანაბრებითი კოეფიციენტის საერთო მოცულობაში და რესურსების მთლიანი მოცულობა (resource pool).

$$E_i = K_i / K_{ჯამური} * G_i$$

K_i სტატისტიკურ-გათანაბრებითი კოეფიციენტი წარმოადგენს თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სტატისტიკური ინდექსის A_i (რომელიც დაკორექტირებულია სტატუსისა - ST , და შემოსავლების - EST კოეფიციენტების გათვალისწინებით) და შემასწორებელ კოეფიციენტის - $A_{საშუალო}/1000$, ჯამს

$$K_i = A_i * (ST + ESR) + A_{საშუალო}/1000$$

G_{city} რესურსების მოცულობა თვითმმართველი ქალაქებისთვის, რომელიც უტოლდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობის 69%-ით


G_m რესურსების მოცულობა მუნიციპალიტეტებისთვის, რომელიც უტოლდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობის 31%-ით

ეტაპი 2: ფისკალური ქმედუნარიანობის (fiscal capacity) განსაზღვრა - R ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთარი შემოსავლები (შემოსავლები გრანტების ამორიცხვით), რომლის გასაანგარიშებლადაც გამოიყენება მიმდინარე წლის საპროგნოზი და გასული 3 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლის ტენდენცია.

ეტაპი 3: ფისკალური ქმედუნარიანობის დეფიციტის (capacity gap) განსაზღვრა - $T = E - R$, რომელიც განიზღვრება როგორც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისთვის ბიუჯეტისათვის გამოსაყოფი გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა

დიაგრამა 1: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის გადასაცემი გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობის გამოსათვლელი ეტაპები

თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი (E_j)



E_j : თვითმმართველი ქალაქის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი

G_j : თვითმმართველი ქალაქის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა რომელიც განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის 69%-ით

G : ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობა

S_j : თვითმმართველი ქალაქის სტატისტიკური და გათანაბრებითი კოეფიციენტების ხვედრითი წილი თვითმმართველი ქალაქების კოეფიციენტების სერთო მოცულობაში

K_i : თვითმმართველი ქალაქის სტატისტიკური და გათანაბრებითი კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკული ნამრავლი

A_i : კონკრეტული თვითმმართველი ქალაქის სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი

P_i : კონკრეტული თვითმმართველი ქალაქის სტატისტიკური კოეფიციენტი

C_i : თვითმმართველი ქალაქის შესაბამისი სტატისტიკური მონაცემი

$C_{\text{ჯამური}}$: თვითმმართველი ქალაქის შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების ჯამი

EC : გათანაბრებითი კოეფიციენტი

ST : სტატუსის კოეფიციენტი

ES : გათანაბრებითი ქულა

AE : საშუალო გათანაბრება

ESR : გათანაბრებითი ქულა შემოსავლების გათვალისწინებით

დიაგრამა 2: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის გადასაცემი გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობის გამოსათვლელი ფორმულა